რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 2 ივნისი 1917 წ.

ერთობა

ფასი 7 კაპ.

თანამედროვე აზრის გაგ „რძე

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ორ საათამდე 5 მანეთი ხოლო ორის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალა რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Бохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлисъ Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 61 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 61

121

ამხანაგებო! შეგვაძენიეთ პარტიული სტამბა. პარტიას უნდა ქონდე საკუთარი სტამბა.

გრძელდება ხელის მოწერა 1917 წლისათვის გაზეთ

ერთობა-ზე.

გაზეთი ღირს როგორც ტფილისში, ისე პროვინციაში მთელი წლით 15 მანეთი, ნახევარი წლით 8 მან., სამი თვით 4 მან. 20 კაპ., ერთი თვით 1 მ. 40 კ.

გაზეთის ფასი ხელის მომწერლებმა წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიათ არავის ეგზავნება.

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: ТИФЛИСЪ, ЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 199, ВЛАСІЮ МАЛАКІЕВИЧУ БОХОХАДЗЕ.

ტფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლე- ბი“ ოლღას ქუჩა, № 6.

ირას, 4 ივნისს საღამოს 5 საათზე სახალხო სახლში შესდგება მეორე რაიონულ კოლექტივის რ. ს.-დ. მ. პარტიის წევრთა

საზოგადო კრება.

დღის წესრიგი: ქალაქის არჩევნები და მიმდინარე კითხვები. 3—1

ლი რაიონული კოლექტივი ტფილისის ს.-დ. ორგანიზაციისა, შაბათს, 3 ივნისს 1917 წელს ნაშუადღევის ხუთის ნახევარ საათზე ნაძალადევის თეატრში იწვევს წევრთა

საზოგადო კრებას.

დღის წესრიგი: 1) რაიონულ საუბნო საარჩევნო კომიტეტის არჩევა.
2) საარჩევნო უბნების ორგანიზაცია.

მოხსენებას გააკეთებს ქ. ვენიკოვსკი თემაზე: მუნიციპალური მეურნეობა და ჩვენი გრამა.

სთხოვენ ამხანაგებს წუ დაიგვიანებენ.

კოლექტივი სთხოვს აგრეთვე პარტიის თანამგრძნობ მოქალაქეებს დაესწრან კრებას.

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლი.

სახალხო სახ. არს. ქართ. წარმ. მმარ. წრე.

კევს, 2 თებერვალს, სახ. ს. სც. მოყ. მიერ ნ. ჯავახიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ეგ. ნინოშვილის მოთხრობიდან გადმოკეთებული პიესა პ. ირეთელის მიერ

ქრისტინე.

დრ. 4 მოქ.

დასაწყისი საღ. სწორეთ 8 ნახ. საათზე. ◆ ადგილების ფასი 20 კ-დან 1 მ. 49 კ-მდე. ბილეთების კასა ღიაა ყოველდღე დილის 12—2 საათამდე და საღამოს 6—8 ს-დე.

მხანაგებო და მოქალაქენო!
არ დაჰკარგოთ საარჩევნო უფლება!

28 მაისს ქალაქში დაიწყო მცხოვრებთა აღწერა ქალაქის საარჩევნო სიის შესადგენათ. წერა გაგრძელდება სამ დღეს.

თუ აღმწერლები თქვენთან და თქვენ მეზობლებთან ჯერ არ მოსულან ან და რაიმე ზით საარჩევნო სიაში არ შეუტანიათ რომელიმე საარჩევნო უფლების მქონე პირი, დაუ- ვ შეატყობინეთ ეს საარჩევნო კომიტეტს (არტისტიულ საზ. შენობაში გოლოვინის), ან მახლობელ კოოპერატივში, პროფ. კავშირში, მუშათა დეპუტ. საბჭოში, ადგი- ცენების ან ფაბრიკა-ზავოდების კომისიებში, ამასთანავე თქვენ უნდა აღნიშნოთ გვარი და მამის სახელი იმ ამომრჩევლის, რომელიც სიაში არ შეუტანიათ, აგრეთვე ნიშნოს მათი წლოვანება სახლის ნომერიც, სადაც ასეთი პირები ცხოვრობენ. ნეთ აგრეთვე იმავ დაწესებულებებს სახელი, მამის სახელი და გვარი იმ უცხო ქეთა და სხვა პირთა შესახებ, რომლებსაც საარჩევნო უფლება ჩამორთმეული და საარჩევნო სიაში კი შეტანილი არიან. გახსოვდეთ, რომ უკეთუ საარჩევნო სიაში ებით თქვენ ჰკარგავთ საარჩევნო უფლებას დემოკრატიულ ამომრჩევლის ერთი და- ხმა ნიშნავს პლუტოკრატიის გაძლიერებას და დემოკრატიის დასუსტებას. დაივიწყოთ თქვენი მოქალაქეობრივი მოვალეობა!

მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

ი. პ. პაპაგაძის სამეურნეო წარმოება ქუთაისში.

საზოგადოებას, რომ მას ახლა აქვს დამზადებული ევროპით საამო და სურნელოვანი

მარწყვის ჩაი

ულია ყველასათვის. გულით და ნერვებით სუსტ პირთ ურჩევენ ამ ჩაის ხმარებას. აისში გირვანქა მარწყვის ჩაი ღირს 2 მ. 25 კაპ., სხვაგან: ტფილისში, ბაქოში, პეტროგრადში და სხვ. 2 მან. 50 კაპ.; სჯობს დაუყოვნებლივ დაიკვეთოთ.

ქართული გიმნაზიის გამგე კომიტეტი და საპედ. საბჭო

რომ გიმნაზიაში ამ ჟამათ თავისუფალია შემდეგი ადგილები: რუსული ენის ის მასწავლებლისა, გერმანული ენის ერთი შტატის მასწავლებლისა, ფრანგული ის გარეშე მასწავლებლისა, რომელსაც ექნება არა უმეტეს 18 გაკვეთილისა, ეგებლის ერთის თანაშემწისა და საეკლესიო გუნდის ერთის ლოტბარისა. ჯამაგირი შტატის მასწავლებლებისა იგივეა, რაც სახაზინო გიმნაზიებში. შტატს ვლებელი თვითეულ წლიურ გაკვეთილში იღებს 70 მანეთს. კლასის დამრიგებ- წლიური ჯამაგირი 900 მანეთია, ხოლო საეკლესიო გუნდის ლოტბარისა—300 მანეთი. თხოვნები მიიღება 20 ივნისამდის. 2—1

აუქციონი
ტფილისის ქალაქის ლომბარდი

მ კვირას, 4 ივნისს, დილის 10 საათზე ლომბარდის შენობაში გაიყიდება ვადა- დაგირავებული საგნები, რომლებიც შესდგება ძვირფასი ლითონეულისა და ქვები- ის საგნებისა, საკერავი მანქანებისა, ნოხებისა, ტყავეულისა, ტანისამოსისა და საერთო [illegible] 2—1

არტისტიული საზოგადოების თეატრი.

პარასკევს, 2 ივნისს 1917 წ. ქართული ოპერეტკის დასის მიერ ბ. ჯანოევის და ს. რევაზიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ცნობილი აზიური ოპერეტკა უ.-ბ. გაჯიბეგოვისა

არშინ მალ ალან

4 მოქ. თარ. ვ. გიგოშვილისა.

დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათზე.
დირიჟორი ნ. იბრაგიმოვი.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.
გამგე რ.-ბ. ეფენდიევი.

ტფილისის ორგანიზაციის რ. ს. დ. მ. პ. მეორე რაიონის კოლექტივის ბიურო

მოთავსებულია ზუბალაშვილის სახალხო სახლში. ღიაა 10—1 საათამდე და 5—7-ამდე. შესასვლელი ეზოდან, მეორე სართულზე. აქვე შეიძლება პარტიის წევრების ჩაწერა, შოვნა პარტიულ ლიტერატურისა და აგრეთვე მიიღება ხელის მოწერა ყველა ადგილობრივ პარტიულ გაზეთებზე ბიუროს საშუალებით.

ბიურო და კლუბი მეოთხე რაიონულ კოლექტივის ტფ. ორგ. რ. ს.-დ. მ. პ. მოთავსებულია ლორის-მელიქოვის ქუჩაზე (პირველ ქალების გიმნაზიაში). აქვე შეიძლება ჩაწერა ს.-დ. პარტიაში რეკომენდაციით, მიღება სხვადასხვა ცნობებისა, იყიდება წიგნები, ბროშიურები და გაზეთები და სხვა. ვსთხოვთ ყველა ამხანაგებს, ვისაც აქვს ქვიტანც. წიგნაკები და ფული დაუყოვნებლივ შემოიტანონ ხაზინადარ ამხ. ზუკაკიშვილთან ბიუროში.

ბიურო ღიაა დილ. 10—3 ს—დე. და საღ. 6—7 ს—დე.

მდივანი ი. კალანდარიშვილი.

ექიმი გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიზდის ქუჩა, № 19.

ექიმი ივანე თიკანაძე

იღებს ავათმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

ექიმი პ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.

ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

გ. გ. მუღრაბიანი

შინაგან ავათმყოფობა შლექისა და გულის. იღებს ახალ რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში გასინჯვა და წამლობა სხივებით. აგრეთვე ყველანაირ შლექის წამლობა და ელექტრონით წამლობა: თავისტკივილის, —ტკივილის, დიდი სოლენოიდი სპეციალური წყობილება და არსონვალის ტოკითა ფილტვების ავადმყოფობისათვის, გულისათვის, არტერიოსკლეროზისათვის და აგრეთვე [illegible], სისხლ ნაკლებობის, ფსილობის, ნევრასტენიისათვის. ხერხემლის ტვინის ავათმყოფობისათვის, ბუასილი, და რევმატიზმისათვის. ყოველ დღე 9—1 ს-მდე და საღამოს 5—7 ს-მდე. მისამართი: [illegible] ქუჩა № 23. ტელეფონი 7—92.

ქ. ქუთაისში.

ექიმი მ. ი. ჩხენკელი

იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., ბაქრაძის სახლი.

ქუთაისი

ექიმ გ. ი. გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, [illegible] ფნი [illegible] დილ[illegible] 12 [illegible] და

საჭიროა

ფალვერში ამ ზაფხულში ქარგალი-პარიკმახერი, რომელმაც იცის გაპარსვა და გაკრეჭა. ხელსაყრელ პირობებში.

მიმართეთ მიხეილის ქუჩაზე „ვარშავის“ საპარიკმახეროში კოპაძეს.

სახელმწიფოებრივი კონტროლი წარმოებაზე.

ეკონომიურმა და ფინანსიურმა კრიზისმა მუშათა კლასი და გაღატაკებული გლეხკაცობა წარმოუდგენელ გაჭირვებაში ჩააგდო. უკანასკნელების რეალური ხელფასი წლიური თუ თვიური შემოსავალი ნაწარმოების გაძვირებას ოდნავ ვერ გაყოლია და ამათი სახსრები მინიმუმი ნორმასთან დაბლა ეშვება.

ასეთ პირობებში მშრომელი კლასები იძულებული ხდებიან სამუშაო ხელფასის გადიდება მოითხოვონ და ამ გზით თავიანთ უმწეო მდგომარეობა ცოტათი მაინც შეამცირონ.

ხელფასის მომატების მისწრაფება ხშირათ ეკონომიურ გაფიცვამდის მიდის; ხშირათ მუშათა კლასი, როცა მოთხოვნების წარდგენით ვერარას ხდება კაპიტალისტთა კლასების თავგასულ მოქმედებას გაფიცვებით ზღუდავენ.

პოლიტიკურათ წელში გამაგრებული ფაბრიკა ქარხნის მუშები, სოფლის მოჯამაგირეები, სახელოსნოების ქარგალ-შეგირდები, მზარეულები, ოფიციანტები, მრეცხავები, საქალაქო თვითმართველობაში მომუშავე მოსამსახურეები და სხვა კატეგორიის მომუშავენი თხოულობენ, რომ წარმოუდგენელ გაძვირებასთან ერთად ასე თუ ისე მათი ხელფასიც იზრდებოდეს.

მართლაც, 70—80 მანეთით როგორ უნდა მოახერხოს ცხოვრება ამა თუ იმ დარგის მუშამ, რომელსაც ხშირათ ოთხი და ხუთი სული ყავს შესანახი; როცა ყოველგვარი ნაწარმოები ორასი და სამასი პროცენტით გაძვირდა. ეს ცოტაა. ბაზარზე აუცილებელ მოთხოვნილების საგნები აბსოლიუტურათ შემცირდა და მათი ეკვივალენტი—ფულის ღირებულება კი წარმოუდგენლათ დაეცა.

აი—ასეთ პირობებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ დაქირავებული კლასები მოთხოვნებით ვერას ხდებიან და ჩვეულებრივ თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესებას გაფიცვების საშუალებით ცდილობენ. როგორც ვიცით ამ ბოლო დროს გაფიცვებიც ხშირ მოვლენათ გადაიქცა და ამის გამო ბურჟუაზიაც შეუდგა განგაშის ატეხას. მათი პრესა და იდეოლოგები საქვეყნოთ გაჰკივიან, ქვეყანას ეფიცებიან, რომ მუშათა კლასის „უზომო“ მოთხოვნები წარმოებას სცემენ, საწარმოო ძალთა განვითარებას კრიზის უმზადებენ და ასეთი საყვირით ფართო მცხოვრებთ შორის შიშს ავრცელებენ.

ეჭვს გარეშეა მათი ასეთი ფარისეველური გოდება მტკნარი სიცრუეა და აშკარათ მათი შიში ზედმეტი მოგების შეძენისადმი. გალაღებული ბურჟუაზია ვერ მორიგებია მუშების მოთხოვნილებებს და განუზრახავს უკანასკნელები ძველებურათ მონობაში იყოლიოს და თავისი ზედმეტი მოგების მითვისება ჩვეულებისამებრ განაგრძოს.

რომ შრომასა და კაპიტალ შორის ურთიერთობა გამოირკვეს და დაქირავებულ კლასის მოთხოვნები სამართლიანათ დაკმაყოფილდეს, საჭიროა ერთგვარი სახელმწიფოებრივი ზომა, რომელიც მიუდგომლათ გამოარკვევს კაპიტალისტების უსამართლო მოთქმასა და მუშების მოთხოვნების სამართლიანობას.

ამისათვ [illegible]

შემოღება. ასეთი კონტროლი დასავლეთ ე- როპის მეომარ სახელმწიფოებში უკვე ო- თქმის ომის დღიდან გამოცხადებისა შემოიღეს და მთელი წარმოება სახელმწიფოს კონტროლს ემორჩილება. უამისოთ ევროპის სახელმწიფოები თავიანთ მიერ დაწყებულ მსოფლიო ომს ორსა და სამ წელიწადს ვერ განაგრძობდენ. ამიტომაც იყო ევროპის მეომარ სახელმწიფოს კაპიტალისტებმა თავიანთ წარმოება სახელმწიფოს კონტროლს დაუქვემდებარეს.

ამავე გზას დაადგა თითქმის რუსეთის ბურჟუაზიული კლასი და სამხედრო-სამრეწველო კომიტეტები, ქალაქთა და ერობათა კავშირები და სხვა კომისიები ცდილობდენ წარმოების მოწესრიგებას და ნაწარმოების სამართლიანათ განაწილებას. მათ შემოიღეს ნაწარმოებზე მტკიცე ფასები, სახელმწიფო მონოპოლიები და სხვა.

კაცს ეგონებოდა ძველი რეჟიმის დამხობის შემდეგ რუსეთის ბურჟუაზია ასეთი გზით მსვლელობას უფრო გააძლიერებდა და მთელ წარმოებას და ნაწარმოების განაწილებას სახელმწიფო კონტროლს დაუქვემდებარებდა.

მაგრამ მოვსტყუვდით. ბურჟუაზია ზევით დასახელებულ გზას როგორღაც გაურბის და მისი ცხოვრებაში გატარების ეშინიან.

საქმე რაშია?

ჩვენ ვიცით, რომ დღეს რუსეთში ფაქტიურათ სახელმწიფოს ძალა ორ მთავარ ორგანოს—დროებითი მთავრობისა და მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ხელშია. მათ შორის ძალთა განწყობილება დღითი-დღე ირყევა და მიუხედავათ იმისა, რომ დროებითი მთავრობაში დიდი ნაწილი ბურჟუაზიის წარმომადგენლები არიან, მაინც სახელმწიფო კონტროლის შემოღებას ერიდებიან. მათ ეშინიათ, რომ ძალა მუშათა და ჯარისკაცების დეპუტატების საბჭოების ხელში გადავა და სახელმწიფო კონტროლი წარმოებაზე დაქირავებულთა სასარგებლოთ შე ცვლება.

მუშათა კლასი კი, თავისთავად ცხადია, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების კონტროლს წარმოებაზე მოითხოვს და ასეთი კონტროლის მეოხებით უკეთესათ მოწესრიგდება წარმოებისა და ნაწარმოების განაწილების საქმე. ასეთ კონტროლის შემდეგ გამოირკვევა თუ რამდენათ უსამართლოა ბურჟუაზიის ჩივილი და მუშათა კლასების მოთხოვნების სამართლიანობა.

გაერთიანება თუ გათიშვა?

ძალა ერთობაშია!

ეს საანბანო ჭეშმარიტება განსაკუთრებით ამხანაგთ უნდა გვახსოვდეს.

სოციალდემოკრატია რევოლიუციის სათავეში მოექცა. ეს ასედაც უნდა მომხდარიყო. ის არის პარტია მუშათა კლასისა, რომელიც ყველაზე უფრო დაინტერესებულია ძველი წყობილების დამხობაში და დემოკრატიის საბოლოო გამარჯვებაში. ეს შეიძლება მუშათა მწყობრი გამოსვლით და საერთო მიზნისათვის ამოქმედებით.

ასეთ დროს ამხანაგთა ერთი ნაწილი ტიის გათიშვას ეტრფის და მით სოციალდემოკრატიის დაუძლურებას ნიადაგს უმზადებს. რევოლიუციის დაწყების დღიდან ორივე ფრაქცია—ბოლშევიკ მენშევიკები გაერთიანდა და საერთო საქმეში ჩაება. მაგრამ ასეთი ერთსულოვანი მოღვაწეობა ხანმოკლე გამოდგა. ამ ჟამად მრავალ ადგილას პარტიული ორგანიზაცია გათიშულა და ნაცვლათ ბურჟუაზიულ-ნაროდნიკული პარტიებისა ერთი მეორეს ებრძვიან.

ეს განსაკუთრებით სახიფათოა ამხანაგთ, როცა მრავალ ადგილას საარჩევნო კამპანია დაიწყო. ყველა ქალაქებში არჩევნები ხდება. ახლო მომავალში დამფუძნებელი კრების არჩევნებიც უნდა დაიწყოს. ვთქვათ პოლიტიკურ საკითხებში უმთავრესათ ტაქტიკის სფეროში არსებობს მენშევიკ-ბოლშევიკთა შორის აზრთა სხვა და სხვაობა. მაგრამ სულ სხვაა მუნიციპალურ საკითხში. გადაიკითხეთ პეტროგრადსა და მოსკოვში ორივე ფრაქციის მიერ გამო[illegible] მუნიციპალური პლატფორმა [illegible] აშკარა იქნება, რომ [illegible]

რაკიც არ შეეძლება. შეადგინეთ კანდიდატთა ორი სია, დღეს პირდაპირ ბოლშევიკ—ზონდნები მენშევიკებს და დარწმუნებული უნდა ვყოთ, ამით მხოლოდ პლუტოკრატია და ნაციონალისტურ ნაროდნიკული პარტიები მოიგებენ, ხოლო დემოკრატია ყოველ შემთხვევაში წაგებული დარჩება.

ამიტომაც ჩვენ გადაჭრით უნდა დავგმოთ ყოველი რასკოლნიკური ნაბიჯი, სულ ერთია გამოდის ეს მენშევიკთა თუ ბოლშევიკთა წრეებიდან. ყველა ის, ვინც პარტიის გათიშვას ქადაგობს და მას ხელს უწყობს, ფაქტიურათ სოციალდემოკრატიის მტერია.

საქალაქო საარჩევნო კამპანია გაჩაღდა. ჩვენს წინააღმდეგ ყველა პარტია დარაზმულია. პლუტოკრატია და დაშნაკელები, სოციალისტ-რევოლიუციონერები და სხვა ნაციონალისტური პარტიები—ყველანი უმთავრესათ ჩვენ გვეომებიან და დემოკრატიის დამარცხებას ცდილობენ.

მით უფრო საჭიროა ყველა სოციალდემოკრატთა გაერთიანება და საერთო მტერზე მწყობრი იერიშის მიტანა. დადგა წამი პლუტოკრატიის სიმაგრის დამხობის და დემოკრატიის გაძლიერების. პარტიის ყველა წევრი ვალდებულია ამ მიზნის მისახწევათ სასტიკათ წინააღუდგეს რასკოლნიკებს და მწყობრი, გაერთიანებული გამოსვლით დემოკრატიის გამარჯვებას ხელი შეუწყოს.

დაშნაკელთა ოინები.

მკითხველებმა იციან, რომ გასული თვის 20 ამიერ კავკასიის მუშათა საბჭოების ცენტრმა მოიწვია ყრილობა მუშათა და გლეხთა საბჭოების წარმომადგენლების, ყრილობა შეკავშირებული გლეხებისა და მუშების. დღის წესრიგი, დრო და ადგილი კრებისა 2 კვირით ადრე იყო გამოცხადებული. გარდა ამისა ჩრდილოეთ კავკასიაში და შავი ზღვის პირა ადგილებში [illegible] კურიერებული კაცები დაიგზავნა. ამიერ კავკასიის ცენტრი იწვევდა რა ყრილობას, ამ შემთხვევაში ასრულებდა სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა კრების დადგენილებას.

ყველა შეკავშირებულ ერთეულს, მუშათა და გლეხთა ყველა საბჭოებს, განურჩევლათ თავისი პოლიტიკური სიმპატია ანტიპატიისა, სრული ნება ჰქონდათ გამოეგზავნათ დელეგატები. მარა ჩვენდა სამწუხაროდ აღმოჩნდა რომ გლეხობა ბევრ ადგილას ჯერ კიდევ შეუკავშირებელია გარდა ტფილისის და ქუთაისის გუბერნიისა, ჯერ-ჯერობით გლეხთა საბჭოები არსად ყოფილა. ამიტომ ყრილობაზე წარმომადგენლობაც სრული არ დარჩა. მუშათა საბჭოების ცენტრს, რასაკვირველია, შეეძლო მოეწვია შეუკავშირებელი გლეხების ყრილობა, როგორც ამას კავ. საიმპერატორო საორგანიზაციო სამეურნეო საზოგადოების ჩინოვნიკები და ზოგიერთი პარტიულად დაინტერესებული პირები ჩადიან ახლა, მარა ეს ხომ მიტინგი იქნებოდა და არა სიეზდი.

ყრილობა შესდგა, მუშები ყველგან შეკავშირებული აღმოჩნდა, გლეხები კი ბევრ ადგილას ჯერ კიდევ ორგანიზაციულათ მოწყობილი არ არის. და აი ეს გარემოება ნაციონალისტების ხელში გახდა იარაღათ განხეთქილებისა და ეროვნული დაპირდაპირების. ქართველ შეკავშირებულ გლეხობას, რომელიც 20 წლის წინათ პოლიტიკურ და ეკონომიურ ბრძოლას ეწევა, დაუპირდაპირეს, განსაკუთრებით დაშნაკელებმა, სომხის გლეხობა. დაიწყეს აგიტაცია სხვისი უფლების უზურპაციის შესახებ, მოიწვიეს საჩქაროვათ შეხვეტილი კრება ერევანში და აფრინეს ტფილისში საპროტესტო დეპეშა. ამ ბატონებს მთელი სამი თვის განმავლობაში ერთი გლეხთა საბჭო ვერ მოუწყვიათ და სხვისი მოწყობილის დანგრევა უნდათ.

მარა აღსანიშნავი და საყურადღებო აქ ის დეზორგანიზაცია არის, რომელსაც ნაციონალისტები ეწევიან. ამბობენ აღმოსავლეთ ამიერ კავკასიის გლეხთა წარმომადგენელი არ იყო კრებაზეო. მერე ვინ დაუშალა მათ გამოეგზავნათ თავისი წარმომადგენლები?

პირდაპირ ვიტყვით: იმავ დაშნაკელებმა და მათ ანკესზე წამოგებულმა ხალხმა. ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ მათი აგენტები არიგებდენ სოფელში გლეხებს—არ წახვიდეთ ოც მაისს სიეზდზეო. აქ კი გამომდგარან და პროტესტებს აცხადებენ. ეს არის თავისი ორგანიზაციული უძლურების ნიშანი და ბოლოსი სურვილით გამოწვეული დეზორგანიზატორული ნაბიჯი.

და აი, თვალნათლივ დანაშაული რომ დაფარონ, დაშნაკელები გამოსულან „ჰორიზონში“ და ჩვენ პროვოკაციას გვაწერენ, ქართველ გლეხებსა და სომხებს შორის შუღლს ავდებთო. შოვინისტურ გამოცემებში დახელოვნებული ფელეტონისტი ჩვენ გვაკვდენიან შოვინიზმს და ინტერნაციონალიზმის სამოსელში ეხვევიან. დაშნაკელები ერთა სოლიდარობის დამცველათ კავკასიაში!—როგორ მოეწონება მკითხველთ ასეთი [illegible]?

არა, დაშნაკელებო, თქვენ ნაციონალისტური მოღვაწეობას ყველა იცნობს, იცის ის სომხის დაბეჩავებულმა გლეხობამაც და დღეს არა ხვალ მაინც დაგიფასებენ და სამაგიეროს მოგიზღავენ. დასასრულ, „ჰორიზონის“ გასაწყენათ, რომ დღეს საჭიროა რევოლიუციურ ძალთა მობილიზაცია, კავკასიის კაპიტალისტთა წინაშე სიცხადე და სხვ. მარა ერთი ვკითხოთ, სოც.-დემოკრატია მთელი თავისი ძალღონით ამ კატასტროფის წინააღმდეგ [illegible] არის, რომ [illegible]

ერის მშრომელ ხალხს და ნაციონალურ უნდობლობით გაზრდილ ატმოსფერაში შეაქვს სალი იდეა და მიმართულება რევოლიუციონურ ძალთა მართლა გაერთიანებისა?

სად არის უბრალო რიგიანობა და სინდისი, როცა ჩვენ ნაციონალური შუღლის გამწვავებას გვაბრალებენ?

ყოველ შემთხვევაში დაშნაკელებმა მიმოავლონ თვალი თავის წარსულ მოღვაწეობას და „სისხლიანი პროვოკაცია“ შეიძლება იქ შენიშნოს, სადაც მართლა იყო იგი, თორემ სიტყვების რახა-რუხს დღეს რა მნიშვნელობა აქვს!

«უმცირესობის» კონფერენცია.

(დასასრული).

კონფერენციის მარცხენა მხარე უთითებდა ამ წინააღმდეგობაზე. მემარჯვენე „თავდამცველები“ უფრო სწორა ალაგებდენ თავის აზრებს. პოტრესოვი ამბობდა, მაგალითად, რომ გერმანია ძალდაუტანებლად არ დასთანხმდება ისეთ ზავს, რომელსაც დემოკრატია მოითხოვს, ძალდატანება კი უნდა მოხდეს ომის საშუალებით, და ეს ომი უნდა გაგრძელდეს სანამ არ დამარცხდება გერმანიაო. აქედან პირდაპირი დასკვნაა ჯარის გამაგრება და მისი თავდასხმელათ წაყვანა. დანის მოხსენებაში ასე ვერ უდგებოდა პრაქტიკული დასკვნა თეორეტიულ დებულებებს. კონფერენციამ მიიღო მაინც მისი რეზოლიუცია და გადასცა კომისიას შესამუშავებლათ. კომისიაში მარტო მე ვიყავი იმ მუხლის წინააღმდეგ, სადაც ეწერა,—საჭიროა ჯარის მხრივ აქტიური მოქმედებაო. უმრავლესობამ ბოლოს თანხმობა გამოაცხადა და შესცვალა ეს მუხლი.—ჯარის შენახვა გარეშე ხიფათების ასაცილებლათო,—ეს დაიწერა იქ სადაც ეწერა: „ჯარის აქტიური მოქმედება ავსტრია-გერმანიიდან მოსალოდნელი ხიფათის თავიდან ასაცილებლათო“. საერთო კრებაზე მემარჯვენე თავდამცველებს არ მოეწონათ ამნაირი რედაქცია და მოითხოვეს „ჯარის შენახვის“ მაგიერათ „ჯარის გამაგრება“. ეს შესწორება მიიღო კონფერენციამ, და გამოვიდა შინაგნათ დაულაგებელი შეუსკვნელი რეზოლიუცია.

გათავდა ორი მთავარი კითხვა და სწორეთ მაშინ მოვიდენ საზღვარ გარეთიდან მარტოვი, მარტინოვი, აქსელროდი. საზოგადო კრება დროებით კერძო საუბრათ გადაიქცა. მარტოვი და მარტინოვი სასტიკათ კიცხავდენ სამინისტროში შესვლას. ინგლისი არა ნაკლები მტერია ჩვენი, ვიდრე გერმანია, ვის უჭერთ მხარს, რომელ ხელშეკრულებას იცავს რუსეთის დემოკრატია. იმ ხელშეკრულებაში სხვათა შორის სწერია, რომ რუსეთს ნება აქვს გერმანიასთან კერძო ზავი ჩამოაგდოს თუ ჯარი რევოლიუციის ჩასაქრობლათ დასჭირდაო. ჩვენ გვაქვს ჩვენი ხელშეკრულება შტუტგარტში დაწერილი, ვიცოდეთ რომ ინგლის საფრანგეთის იმპერიალიზმი თქვენ ახალ ნაბიჯს—სამინისტროში შესვლას—თავის სასარგებლოთ გამოიყენებს. ამიტომ ახლავე უნდა ავიცილოთ პასუხისმგებლობა, ჩვენ ვერ გავიზიარებთ თქვენ შეცდომას, ვერც დაგიჭერთ მხარს,—ამბობდა მარტინოვი. კაკი წერეთელი თავის სიტყვაში ამტკიცებდა, რომ სამინისტროში შეუსვლელობა არ მოხერხდებოდა, იმ დროებით მთავრობას მოადგილე აღარ ჰყავდა მსხვილ ბურჟუაზიულ წრეებში, წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლები—ტრუდოვიკები, ხაროდნიკები უჩვენოთ უარს ამბობდენ, დაგვიანება აღარ შეიძლებოდა, ორი დღის განმავლობაში სამოქალაქო ომი დაიწყებოდა და რევოლიუციას ბოლო მოეღებოდაო. მარტოვი არ ეთანხმებოდა ამ აზრს.—თქვენ ბურჟუაზიამ ძალა დაგაღალათ, შეგაშინათ, ხელში მოგცათ მართვა გამგეობა იმ დროს, როცა თქვენ ხაზს ვერ გაატარებთ, ამნაირათ უნდოდა დემოკრატიის თვალში თქვენი დამცირება, თქვენი გაკოტრება. სწორეთ აქ უნდა გამოგეჩინათ რევოლიუციონური სიმაგრე და არ წამოგებოდით ამ ანკესზე, ისევ სხვა წრეებში უნდა მოგეძებნათ სამინისტროში შესასვლელი პირებიო. რას იზამთ ახლა. გაერთიანებული მთავრობის პოლიტიკაში ან უნდა გატარდეს თქვენი ხაზი,—ეს ხომ იგივე დიქტატურა იქნება, ეს იქნება დემოკრატიის მხრივ მართვა-გამგეობის სულ ხელში ჩაგდება. თუ, პირიქით, მთავრობას ახალ პოლიტიკაში უმრავლესობის ხაზი გატარდა, თქვენ ამ ხაზს ბოლომდის ვერ დაეთანხმებით, ეს უთანხმოება ისევ კრიზისს გამოიწვევს, ერთი სიტყვით მდგომარეობა საშინელია და თუ გამოსავალი ვერ ვნახეთ სოციალდემოკრატიის ხიფათი მოელისო.

კერძო საუბარმა, რა თქმა უნდა, ვერ გვიჩვენა ეს გამოსავალი. კონფერენცია შეუდგა ისევ მორიგ საქმეებს. კითხვა იდგა ინტერნაციონალის აღდგენის შესახებ. სიტყვა აიღო სტუმრათ მოსულმა ბერნის კომისიის თავმჯდომარემ—ამხ. გრიმმა. ეს კომისია, როგორც ვიცით, არჩეული იყო ციმერვალდის თათბირზე. გრიმმა თქვა,—ომის გასათავებლათ საჭიროა ის ბრძოლა, რომელიც მიზნათ დაისახა ციმერვალდმა. საჭიროა ამ ბრძოლაში სამოქალაქო ზავის შეწყვეტა, ბურჟუაზიასთან თანამშრომლობაზე ხელის აღება, საჭიროა ის, რასაც აღიარებს სოციალისტური პარტიების უმცირესობა. სანამ უმრავლესობაც ამ გზას არ დაადგება, მანამდის ინტერნაციონალი ვერ იხეირებს, არც ლონდონის [illegible] ყველას მოწვევა, რადგან ასე არ შეიქმნება და დემოკრატიის [illegible] უმრავლე-

სობა არ ეთანხმებოდა ამათ. ახლა ჩვენ მარტო ერთი საქმე გვაქვს, ომს ბოლო უნდა მოეღოს, ამ დიდ საქმეს ვერ გააკეთებს მარტო უმცირესობა, ეს საქმე ყველამ უნდა იკისროს. ცალკ ცალკე ვერავინ იტყვის, ვინ არის გამოსარიცხავი ჩვენი საერთაშორისო ოჯახიდან და ვინ არა, მერე ინტერნაციონალი თვითონ გადაწყვეტს ამ საკითხს. ჯერ კი ომის წინააღმდეგ ბრძოლაში თან უნდა გავიყოლიოთ უმრავლესობაც და უმცირესობაცო.

ამ კითხვაში ბოლოს შეთანხმდენ მიმდინარეობის გარჩევლათ. კომისიამ, რომელშიაც სხვათა შორის შევიდენ მარტოვი, მარტინოვი, აქსელროდი, ერთხმათ მიიღო რეზოლიუცია, ეს რეზოლიუცია ერთხმათ გავიდა კონფერენციაზედაც, ამ რეზოლიუციაში მიღებულია ციმერვალდის გზა, კონფერენცია ამ გზაზე იწვევს ყველას ზავისთვის საბრძოლველათ და საერთაშორისო ოჯახიდან არავის არ რიცხავს.

ამნაირი შეთანხმების შემდეგ კონფერენცია დარწმუნდა, რომ შეიძლებოდა ჩვენი ორგანიზაციულათაც შეკავშირება. არ გამართლდა ეს იმედი. მარტოვმა მაინც არ მოინდომა ცენტრალური ორგანოს რედაქციაში შესვლა. ჩვენთვის ყველა აქ მიღებული დადგენილების ასრულება რენეგატობა იქნებაო. კონფერენციამ დაასახელა ამიტომ ცალმხრივი რედაქცია. არ მოინდომეს ინტერნაციონალისტებმა არც ორგანიზაციულ კომიტეტში შესვლა. მე ამათ კერძო თათბირზე წინააღმდეგი ვიყავი ამნაირი ბოიკოტის. ამავე თათბირზე საჭიროთ დაინახეს საკუთარი განცხადების შეტანა. მის დასაწერათ აირჩიეს პატარა კომისია—ლარინი, მარტოვი და თქვენი უმორჩილესი მონა. ამ კომისიაში ლარინი იყო უკიდურესი მემარცხენე, მარტოვი იცავდა შუათანა პოზიციას, მე ვიყავი მემარჯვენე. არ ვურიგდებოდი ლარინს, რომელიც ახლავე განხეთქილების გამოწვევას აჩქარებდა, არ ვეთანხმებოდი არც მარტოვის მაგარ კილოს. მინდოდა, რომ განცხადება დაწერილიყო რბილი ენით, გვეთქვა, რომ არ ვეთანხმებით მარტო ზოგიერთ დადგენილებებს და ვერ გავიზიარებთ პასუხის მგებლობას იმ შემთხვევებში, როცა ეს ზოგიერთი დადგენილებები რევოლიუციის და პროლეტარიატის ინტერესებს წინ გადაეღობებიან. ასე რბილათ დაწერილმა განცხადებამაც დიდი ალიაქოთი გამოიწვია საერთო კრებაზე. გვეუბნებოდენ,—ამით ახლა ჩვენი მოწინააღმდეგეები ისარგებლებენო. ბოლშევიკების „პრავდამ“ მართლაც ისარგებლა მეორე დღესვე. კიდევ ისარგებლებს, მაგრამ რაც უნდა იყოს, ჩვენ უფრო ახლოს ვგრძნობთ თავს ერთმანეთთან, ვიდრე ლენინთან. მე მგონია სოციალ-დემოკრატიის გაერთიანება გაივლის შუა ხაზზე, ერთ ნაპირზე დარჩება პლეხანოვის უკიდურესობა, მეორეზე—ლენინის სექტანტობა.

ახალმა ორგანიზაციულმა კომიტეტმა მთავარ მიზნათ დაისახა ზავის გარშემო ბრძოლა. ეს იქნება ჩვენი შემაერთებელი ხიდი და ამ ხიდზე ჩვენ ამხანაგურათ შევხვდებით ერთმანეთს, თუმცა კონფერენციაზე ჯერ-ჯერობით ასე დაშორებულათ და შეურიგებლათ გვეჭირა თავ თავის ადგილზე.

ს. დევდარიანი.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ. 29—30 მაისი.)

შეკითხვა თემთა პალატაში.

ლონდონი. თემთა პალატაში შეკითხვა შეიტანეს—აცნობეს თუ არა ოფიციალურათ რუსეთის მთავრობას, რომ ლიდსის კონფერენცია მუშათა პარტიის შეხედულობის გამომხატველი არ არის. სესილმა უპასუხა, რომ რუსეთის მთავრობამ უთუოთ იცის ამ კონფერენციის მნიშვნელობა.

მუშათა კონფერენცია.

პეტროგრადი. გაიხსნა მუშათა კონფერენცია. უმთავრესათ განიხილეს ვაჭრობა მრეწველობის მდგომარეობის შესახებ საკითხი. მინისტრმა სკობელევმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ მრეწველობის მოწესრიგება და მისი კონტროლი სახელმწიფოს საქმეა და არა კლასის. მუშებსა და მექარხნეთა შორის მომხდარი კონფლიქტი უნდა გაარჩიოს სამედიატორო სასამართლომ და არა ძალადობამ. ჩვენ განვიცდით სოციალურ რევოლიუციას—სთქვა მინისტრმა—მაგრამ წვრიმალ ნაბიჯებით ეს რევოლიუცია არ გადასწყდება. შეუძლებელია ერთვე ფინანსიური და სამეურნეო საკითხები მხოლოდ მარტო რუსეთის დემოკრატიამ გადასწყვიტოს. საჭიროა მთელი ქვეყნის დემოკრატიის შეერთებული ძალა. შეერთებულ ძალით გადაწყდება ზავისა და ომის საკითხი. კონფერენციამ რეზოლიუცია გამოიტანა, რომ ქვეყნის სამეურნეო კრიზისიდან დახსნა შეიძლება მაშინ, როცა წარმოება და ნაწარმოების განაწილება მუშათა კონტროლის ქვეშ იქნება. კონტროლი უნდა გაუწიონ ყველა ფინანსიურ და ბანკის ოპერაციებს. ყველა ამის განხორციელება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა სახელმწიფოს მართვა გამგეობის საქმე მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების ხელში გადავა.

კრაპოტკინის ჩამოსვლა.

პეტროგრადი. ღამის პირველ საათზე ჩამოვიდა თავადი კრაპოტკინი. სადგურზე შეეგებენ მინისტრები კერენსკი, სკობელევი, ნეკრასოვი და სხვა და სხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები. კერენსკიმ სიტყვა უთხრა.

დროებითი მთავრობის ბრძანება.

პეტროგრადი. დროებითმა მთავრობამ შემდეგი ბრძანება გამოსცა: ჩვენამდე ფრონტიდან ცნობა მოვიდა, რომ იქ ჯარის ზოგიერთ ნაწილებში დიდი უწესოება მოხდა, არ ასრულებენ უფროსის ბრძანებას, ძალით გამორბიან პოზიციიდან და ბრძოლაში არ მიდიან. უნდა ახსოვდეთ ასეთ პირებს, რომლებმაც ამგვარ საქციელით თავი შეირცხვინეს, რომ მათ ასეთ დანაშაულობისთვის დასჯიან კატორღაში გაგზავნით, მათ ჩამორთმევათ ყოველივე უფლება, ნება არ ექნებათ შეიძინონ მოძრავ-უძრავი ქონება, მონაწილეობას ვერ მიიღებენ არჩევნებში და დასჯილების ცოლშვილს დახმარებას აღარ გაუწევენ ის ჯარის ნაწილები, რომლებმაც ჩირქი მოსცხეს თავისუფალ სამშობლოს და რევოლიუციას დაუყონებლივ უნდა დაიშალოს. ვუბრძანებთ ასეთი დამნაშავეები დაუყონებლივ პასუხისგებაში მისცენ და ეს დადგენილება გააცნონ ჯარის ყველა ნაწილებს.

დამფუძნებელ კრების საარჩევნო თათბირი.

პეტროგრადი. დამფუძნებელ კრების საარჩევნო თათბირმა, რომელმაც პროექტი უნდა შეიმუშაოს, განიხილა საკითხი საარჩევნო უფლების შეზღუდვის შესახებ. სხვათა შორის კომისიამ წინადადება შეიტანა წაართვას პასსიურ არჩევის უფლება რომანოვთა გვარეულობას. დიდი ხნის კამათის შემდეგ, რომელშიაც ცხარე მონაწილეობა მიიღო ბოლშევიკმა კოზლოვსკიმ, რომელიც თავგამოდებით მოითხოვდა რომანოვთა გვარეულობისთვის წერთიმათ პასსიური საარჩევნო უფლება, თათბირმა დაადგინა, რომ საარჩევნო სიაში არ უნდა იქნან შეტანილი და არჩევნებში მონაწილეობა არ უნდა მიიღონ იმ პირებმა, რომლებსაც კანონი დაამტკიცებს, რომ გიჟი, სულელი, ყრუ მუნჯი და აპეკუნის ქვეშ არიან. სხვა ნაირი შეზღუდვა საარჩევნო უფლების თათბირმა უარჰყო. შემდეგ თათბირმა მიიღო შესწორება იმის შესახებ, რომ ის პირნი, რომელნიც შეტანილნი არიან რომელიმე საარჩევნო უბანში, შეიძლება აირჩიონ მთელი სახელმწიფოს ფარგლებში და არჩევა შეიძლება ყველა მოქალაქეთა, რომელნიც აკმაყოფილებენ აქტიურ საარჩევნო უფლებების მოთხოვნილებებს, უკეთუ იგინი შემთხვევით საარჩევნო სიაში არ შეიტანს.

ინციდენტი.

რეველი. რეველში სამხედრო და მუშათა დეპუტატების საბჭომ გადააყენა საგუბერნიო კომისარი. ამ ინციდენტის გამოსარკვევათ პეტროგრადიდან მოვიდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს წარმომადგენელი სოკოლოვი. 5 საათის მოლაპარაკების შემდეგ დაადგინეს მოსთხოვონ მთავრობას გადააყენოს კომისარი და მის ადგილას სხვა დანიშნოს. კომისარის დანიშვნის წეს-რიგის შესახებ საკითხი უნდა განიხილოს მ. დ. ჯ. კ. დეპუტატების საბჭოთა სრულიად რუსეთის ყრილობაზე.

თავდასხმა.

ხარკოვი. სოფელ პერესეჩნოეში ღამით 6 შეიარაღებული მძარცველი თავს დაესხა „სავოლოსტო“ კომიტეტს, შეკრეს მამასახლისი და ჩაფრები და ცხენებით გაიტაცეს ორი ზანდუკი. ერთში იყო 5000 მანეთი და ფასიანი ქაღალდები.

კერენსკის განკარგულება და უკრაინელები.

კიევი. უკრაინელ გლეხთა სრულიად რუსეთის ყრილობაზე წაიკითხეს კერენსკის დეპეშა, რომლითაც ის ატყობინებს, რომ სამხედრო პირობების გამო დროს შეუფერი არ არის უკრაინელთა ჯარების მეორე ყრილობა. ყრილობამ სცნო რა, რომ ეს განკარგულება, არღვევს კრების თავისუფლების პრინციპს, დეპეშა გაუგზავნა მთავრობას და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს, რომლითაც პროტესტს უცხადებენ კრების თავისუფლების კანონის დარღვევისთვის და მოითხოვენ პასუხს.

ჯარში გასაწვევ პირთა შემოწმება.

პეტროგრადი. სამხედრო სამინისტრომ შეიმუშავა კანონპროექტი, რომლითაც ქარხნებში და ფაბრიკებში დაცვის საქმეზე მომუშავე სამხედრო სამსახურის ვალდებულნი პირნი უნდა შემოწმდნენ. შემოწმებს საგანგებო კომისია, რომელშიაც შედიან სამხედრო სამინისტროს, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა ამ ქარხნებში მომუშავე მუშათა წარმომადგენელნი.

საფრანგეთის მინისტრი ტომა.

პეტროგრადი. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის კრებაზე საფრანგეთის მინისტრმა ტომამ სიტყვა წარმოსთქვა, რომლითაც აღნიშნა, რომ საფრანგეთის სოციალისტებმა შეასრულეს თავიანთი ვალი ძალა დაუტანებით საფრანგეთის მთავრობისთვის უარი ეთქვა ომის იმპერიალისტურ მიზნებზე. სოციალისტების გავლენით რიბომ უარი სთქვა საიდუმლო ხელშეკრულობებზე. ამიტომ საფრანგეთის სოციალისტები განცალკევებული დარჩენ დანარჩენ დემოკრატიულ მიმდინარეობასთან. ეს ვალდებულება საფრანგეთის სოციალისტებმა მიიღეს თავის თავზე იმ პირობით, რომ რუსეთი სეპარატიულ ზავს არ შეჰკრავს და ზომებს მიიღებს შინაგან თავის ჯარის რეალური ძალა. ჯერ კარგათ შეასრულეს რუსეთის სოციალისტებმა დანაპირები, მაგრამ ტომა ცოტათი შეაფერხა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მოწოდებამ, სადაც ნათქვამია ნაციონალურ ერთობის პოლიტიკის შეწყვეტის შესახებ.

კრონშტადტის კომისარი.

კრონშტადტის საბჭოს კომისარი პარჩევსკი მიიღო მინისტრ თავმჯდომარემ. შემდეგ პარჩევსკიმ ჟურნალისტებს უამბო, რომ ის კრონშტადის რეალურ სასწავლებლის მასწავლებელია. სათადარიგო ჯარის პრაპორშჩიკი, „პერევოროტის“ შემდეგ კერძო ჯარის ნაწილის გამგეთ იყო. ის აირჩიეს ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს წევრათ, სადაც მიემხრო უპარტიოებს, საბჭოში ბოლშევიკები [illegible] ხელს წარმოადგენენ დანარჩენები უპარტიონი, მენშევიკები და ს.-რევოლიუციონერები არიან. ფართო მასას ბოლშევიზმი ნაკლებათ მოედო. ბოლშევიკებს ოდნავი გავლენა აქვთ მხოლოდ მეზღვაურებში. მუშებში და ჯარისკაცებში კი ძალიან ნაკლები. ისინი მხოლოდ მეტს ჰყვირიან და საიმისო კი არაფერია.

ფინლიანდიის შესახებ.

ჰელსინგფორსი. დროებითი მთავრობის მიერ დამტკიცებული ფინლიანდიის სეიმის უფლებათა გაფართოების კანონპროექტი დროებითი ხასიათის იქნება, სანამ განსაზღვრული იქნება რუსეთსა და ფინლიანდიის ურთიერთი უფლებრივი დამოკიდებულება.

საბერძნეთის მეფის გადადგომა.

პარიზი. ათინიდან იტყობინებიან: მეფე კონსტანტინე ტახტიდან გადადგა თავის შვილის ალექსანდრეს სასარგებლოთ. მეფეს გლისის გემით შვეიცარიაში უნდა წასვლა.

პეტროგრადი. შესდგა პეტროგრადის მაზრის, სოფლების და ქალაქის განაპირა ადგილების მცხოვრებ გლეხების კრება. კრებამ თავი სრულ უფლებიან საერობო კრებად აღიარა და გადაწყვიტა არ დაემორჩილოს დროებითი მთავრობის და საერობო თვითმართველობის რეორგანიზაცია მოახდინოს, აირჩიეს თავმჯდომარე და საერობო გამგეობის მთელი შემადგენლობა.

საქალაქო არჩევნები.

პეტროგრადი. დასრულდა ყაზანის მოსკოვის სარაიონო საბჭოს არჩევნები. ყველაზე მეტი ხმები მიიღეს კადეტებმა, სოციალისტ-რევოლიუციონერებისა და „შევერკების“ ბლოკმა. ყაზანის რაიონში [illegible] 2 „ბოლშევიკი“, მოსკოვსაში—7, ნარჩენი უბნების ხმები ჯერ არ დაუთვლიათ.

მინისტრის თანაშემწეთ დანიშვნა.

პეტროგრადი. 30 მაისი. მიწათ მოქმედე-ბის მინისტრის ამხანაგათ ბრუშნოვი [illegible] მინისტრის ამხ ნაგათ დაინიშნა. მის გამგებლობის ქვეშ იქნება საგლეხო და სათავადაზნაურო ბანკების და საზოგადოთ წვრილი [illegible] დაწესებულებანი.

პოლონეთში.

სტოკჰოლმი. პოლონეთის სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე ვარშავაში გერმანიის ავსტრიის წარმომადგენლებმა პასუხი გასცეს საბჭოს მიმართვას ხსენებულ სახელმ[illegible] თადმი. ეს სახელმწიფონი პოლონეთის ხელმწიფე საბჭოს ისე უყურებენ, როგორც წარმომადგენელს პოლონეთის სახელმწიფოსის და იმედოვნებენ, რომ საბჭო ახლო მომავალში დაამთავრებს საკონსტიტუციო საადმინისტრაციო კანონების გამომუშავებას პოლონეთის სამეფოსათვის. საბჭოს გამოთქმული სურვილი პოლონეთის რეგენტის დანიშვნის შესახებ ეთანხმება ცენტრალურ სახელმწიფოების შეხედულებებს და სისრულეში იქნება მოყვანილი, როცა ამისთვის საკმაოდ შესაფერისი პირობები დადგება. ამასთანავე, ცენტრალური სახელმწიფოები მოელიან საბჭოსაგან კანონ-პროექტს მუშავებას, რათა მართლმსაჯულობის სხვა დარგის საქმეები სამინისტროებს გადაეცეს.

ომის დეპეშები.

პეტროგრადი. 31 მაისი. დასავლ[illegible] პარეხზე, კავკასიის და რუმინიის ფ[illegible] დროგამოშვებითი სროლაა.

პარიზი. 30 მაისი. კალიფორნის [illegible] მებთან საარტილერიო სროლამ [illegible] სიათი მიიღო. შამპანში, ბლონის [illegible] მდებარე ჩვენს პოზიციას მტერმა [illegible] ყუმბარები დაუშინა.

პარიზი. 30 მაისი. მთელ ფრონტზე მოწინააღმდეგები ერთმანეთს [illegible] ყუმბარებს უშენენ. ოტშევოშეს რაიონში ბატარეებმა გერმანელების სანგრ[illegible] ახიანეს. ლოტარინგიაში მტრის [illegible] ჩამოვაგდეთ.

ლონდონი. 30 მაისი. საფრანგეთის [illegible] ტზე, ნევშატელის ჩრდილოეთით [illegible] გრებს თავს დავესხით და იქიდან [illegible] კაცი ტყვეთ წამოვიყვანეთ. იპრის [illegible] ეთით მტრის იერიშები შევაჩერეთ.

ლონდონი. 31 მაისი. ბრიტ[illegible] კვლავ 2 მილით წინ წაიწია, და[illegible] გოსპიტრი და ტყვეთ წამოიყვანა 17[illegible] კაცი და ხელთ იგდეს 3 ტყვიამფ[illegible]

რომი. 30 მაისი. აზიაგის [illegible] ცუდი ამინდის გამო საარტილერიო [illegible] ლა შეწყვეტილია. იულის ალპებ[illegible] ვიდრიჩეს რაიონში მტერი ჩვე[illegible] ყუმბარებს უშენს. საარტილ[illegible] წარმოებს გორიციის ჩრდილოეთ[illegible] თით.

ახალი ამბ[illegible]

ოფიცერთა ეკონომიურ საზოგა[illegible] მაისს დაითხოვეს [illegible] ფეხურ მუშებთან ჩარიცხვის—დღე[illegible] ვით მუშაობდნენ; [illegible] საათის [illegible] მაიცეს ერთის წლის ნამსახურ[illegible]

ეროვნული

თავისუფლება და ავათმყოფობის დროს გაცდენილი დღის ქირა მუშას უნდა ეძლეოდეს.

◆ **ზაკუსოვის დატუსაღება.** ოზურგეთის მაზრის კომისარმა მ. საბაშვილმა ოთხშაბათს ღამით დაატყვევა ოზურგეთის მაზრის ყოფილი უფროსი პოლკოვნიკი ზაკუსოვი; როგორც გადმოგვცეს, ზაკუსოვს ოზურგეთში გაგზავნიან.

◆ **ჯულფა ბაქოს სამხედრო რკინის გზა.** გაზეთებში ცნობა იყო მოთავსებული ხსენებულ რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა სიეზდის შესახებ, რომელიც თფილისში შესდგა. ნამდვილათ კი, როგორც სიეზდზე გამოირკვა და აგრეთვე თვით მისმა მონაწილეებმა აღიარეს, სიეზდი არ შეიძლება გზის მთელი მუშა-მოსამსახურეების აზრთა გამომხატველათ ჩაითვალოს, ვინაიდან იქ წარმოდგენილი იყო მუშათა მხოლოდ მეათედი ნაწილი. სიეზდმა უარყო დემოკრატიული რესპუბლიკა, მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც ნდობას უცხადებენ ინჟინერ ტრესკინსკის. ამ ინჟინრის შესახებ ბევრი დაწერილა მუშათა გაზეთებში, თუ როგორ უდიერათ ეპყრობოდა ის მუშებს, რასაც იძიებს კომისია. მიუხედავათ იმისა, რომ სიეზდმა თავი სრულუფლებიანათ ვერ სცნო, მაინც საჭიროთ დაინახა რეზოლიუციების არა თუ მიღება, არამედ მისი გავრცელებაც, რითაც შეცდომაში შეიყვანა საზოგადოება.

◆ **ბათუმ ტრაპიზონის სამხედრო რკინის გზაზე** ამ ჟამათ მუშაობა შეჩერებულია და ახლო მომავალში უნდა მოხდეს ამ გზაზე ნამუშევარის სრული ლიკვიდაცია. ამისთვის კავკასიის საგანგებო კომიტეტმა საგანგებო კომისია შეადგინა. მუშათა ძალა და აგრეთვე ყოველგვარი მასალა, რაც ამ გზას ხმარდებოდა დღემდე დღეიდან მოხმარდება შავი ზღვის ნაპირათ საკეთებელ რკინის გზას და ბათუმ-ტრაპიზონის გზატკეცილის შეკეთებას.

◆ **მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა სიეზდი** 31 მაისს დაიხურა. დელეგატები ჩაიზე მიიწვიეს.

◆ **მილიციონერების კრება.** 30 მაისს, მეცხრე კომისარიატის შენობაში შესდგა ამხ. წიტაიშვილის თავმჯდომარეობით სოც.-დემ. მილიციონერების კრება. დაესწრო 26 კაცი. გასარჩევი იყო შემდეგი კითხვები: რათა მილიციის ბიურო ექვემდებარებოდეს პროფესიონალურ კავშირს, მილიციონერების პროფესიონალური კავშირი; თვითგამორკვევა პარტიის წევრთა და შესაძლებელია თუ არა, რომ მილიცია პარტიული იყოს, სოც.-დემოკ. მილიციონერების კავშირი. პირველი საკითხი კრებამ სხვა დროისთვის გადასდო, სოც.-დემ. მილიციონერების კავშირის მოწყობა კი პირველ რიგში დასვა. კრებამ თითო კომისარიატიდან ორ-ორი კაცი აირჩია, რომლებიც მილიციაში მყოფ პარტიის წევრების რაოდენობას გამოარკვევენ. შემდეგ სოც.-დემ. საორგანიზაციო ბიუროში აირჩია კრებამ ხუთი კაცი: ლალაპაშვილი, ტკალიკი, გერსამია, დანძუროვი და ასათიანი—კანდიდატებათ: წიტაიშვილი, ნაცვლიშვილი და ჩადუნელი.

◆ **„ერთობის“** რედაქცია სთხოვს ამხანაგებს: თუ რომელიმე მათგანმა იცის ამხ. გრიშა ლორთქიფანიძის ადრესი, დაუყოვნებლივ აცნობოს რედაქციას.

◆ სავაჭრო სამრეწველოებში მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის გამგეობა გადავიდა ალექსეევის ქუჩაზე სახ. № 7. კავშირში წევრათ ჩაწერა შეიძლება დილის 9 საათ. 2 საათ. და საღამოს 4-დან 8 საათამდე.

◆ **კახეთის რკინის გზა.** კვირას 4 ივნისს გურჯაანში დანიშნულია კრება. ამ კრებას უნდა დაესწროს გურჯაანის რაიონის ყველა ამხანაგები. ასარჩევია კომიტეტი. რადგანაც ძველ კომიტეტში ძველი რეჟიმის დამცველები მოხვდნენ, ამიტომ ამხანაგები ფხიზლათ უნდა მიეკიდონ არჩევნებს და არ განიმეორონ შეცდომა.

◆ **ტუსაღების პროტესტი.** ჩვენ მეტეხის ციხის ტუსაღები ზიზღს ვუცხადებთ ამ ჯალათთ, რომლებმაც გამოიტანეს განაჩენი ფრიდრიხ ადლერის სიკვდილით დასჯისა, იმ ადლერისა, რომელმაც თავისი სიცოცხლე ჯალათებთან ბრძოლაში გაატარა და ავსტრიის იმპერიალიზმის მოსპობისათვის იბრძვის. ძირს სიკვდილით დასჯა, გაუმარჯოს ფრიდრიხ ადლერს და მის იდეიას! ძველი რეჟიმის 160 ტუსაღის მინდობილობით სარალიძე.

— ამავე ტუსაღებმა ურთიერთ შორის შეაგროვეს 142 მ. 75 კ. თფილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს სასარგებლოთ. ფული დანიშნულებისამებრ გადაეცა.

◆ **თ. კიკვაძის ლექცია.** 28 მაისს, ნაძალადევის სახალხო თეატრში, საქონლის სადგურის მოსამსახურეთა და მუშების კრებაზე, ამხ. თ. კიკვაძემ წაიკითხა მორიგი ლექცია თემაზე: „საზოგადოებრივი განვითარება და სოციალიზმი“. თეატრში ტევა არ იყო.

◆ **სახალხო თეატრი.** დღეს საღამოს სახალხო სახლის სცენის მოყვარეთა მიერ ნ. ჯავახიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება: „ქრისტინე“, დასაწყისი 8 ნახ. საათზე. ადგილების ფასი 1 მ. 49 კ. 20 კ.-მდე.

◆ კვირას, 4 ივნისს სასახლის ბაღში იხსნება „ფინჯიანი ჩაი“ 1 საათზე. საჩაიეს მართავს მუშათა და ჯარის კაცთა ფინანსიური კომისია.

კრებები და მიტინგები.

კვირას 4 ივნისს 1917 წ. დილის 10 საათზე „თფილისის კლუბში“ (დავიდოვისა და გოლოვინის კუთხე) შესდგება საზოგადო კრება ყველა თბილისში მყოფ 12 ჟუბნის სასურსათო კომიტეტებისა. დღის წესრიგში სხვათა შორის შეტანილია: ქალაქისა და ჟუბნის სასურსათო კომიტეტების ერთმანეთისადმი დამოკიდებულება, მახლობელი მოქმედების პროგრამა, მილიციასთან დამოკიდებულება, თანასწორი გაწესრიგება სურსათისა ჯარსა და და მცხოვრებთა შორის.

— 2 ივნისს საღამოს 6 საათზე შესდგება კრება სოციალდემოკრატების 1-ლ ჟუბნისა, უდილის ქუჩაზე № 3 (მე 6 ვაჟების გიმნაზია) ვერის სოციალდემოკრატიულ კლუბში საარჩევნო კომიტეტის ასარჩევათ. ამხანაგებს ვსთხოვთ უთუოდ დაესწრონ და თან მოიტანონ საწევრო კვიტანციები.

— კვირას 28 მაისს, სახელოსნო კლუბში, დანიშნული ლითონზე მომუშავეთა კრება არ შესდგა. კლუბის გამგეობამ განაცხადა თხოვნა უნდა ქაღალდზე დაწერილი ყოფილიყო. ამიტომ კრება გადატანილ იქნა „თავისუფლების ბაღში“. ა. იაშვილმა კრებას გააცნო მუშათა და ხაზეინთა დამოკიდებულება. კრება მცირე რიცხოვანი იყო და სარევიზიო კომისიის არჩევნები აღარ მოხდა, ვსთხოვთ ამხანაგებს კრებებს დაესწრონ. რადგან საქმე გაკეთებას ითხოვს და საგვიანო აღარ არის.

— დღეს, საღამოს 6 საათზე, დიდუბის რკინის გზის სკოლაში დანიშნულია მოქალაქეთა კრება—თემა ქართულად: „საქალაქო არჩევნები“.

— დღეს, საღამოს 8 საათზე საინჟინრო სამმართველოში, ლორის მელიქოვის ქუჩა № 6 შესდგება სალდათების კრება. თემა: „საქალაქო არჩევნები“.

— დღესვე, საღამოს 8 საათზე შესდგება თფილისის სადგურის მოსამსახურეთა კრება სადგურისავე შენობაში.

— დღესვე, საღამოს 6 საათზე თფილისის სადგურის მუშა-ხელოსნთა კრება—სამგზავრო ვაგონების შესაკეთებელ შენობაში. თემა: „საქალაქო არჩევნები“.

— დღესვე საღამოს 7 საათზე ავტომობილების ხელოსნოთა სალდათების კრება—თემა: „საქალაქო არჩევნები“.

— 4 ივნისს დილის 10 საათზე სახელოსნო კლუბში (მიხეილის ქ.) შესდგება „სტოლიართა“ კრება. ქარხნის კოოპერატივის წარმოების შესახებ. სთხოვენ მსურველთ დაესწრან.

რუსეთის ამბები.

ცარსკოე სელოს სასახლის დაცვა. რადგან ცარსკოე სელოს ამ ბოლო დროს ბევრი ხალხი მიაწყდა ალექსანდრეს სასახლის დაცვა ფრიად გააძლიერეს; მოდარაჯე ჯარის კაცები რიგ რიგათ არტყია ირგვლივ სასახლეს. ყოველ გამოსასვლელს და შესასვლელს დარაჯები იცავენ. ყოფილ მეფეს სეირნობის დრო შეუმოკლეს, მას სასეირნოთ უშვებენ მხოლოდ დილის 9 საათიდან 10 საათამდე და საღამოს 4—5 საათამდე. როცა ნიკოლოზ რომანოვი გამოდის სასეირნოთ, მას ჯარის კაცი დასდევს ათი საჟენის მოშორებით და სასტიკ თვალყურს ადევნებს. 4 ბავშვებსაც უშვებენ ბაღში სასეირნოთ, მაგრამ მამასთან ერთათ კი არა. ყოველ დღე 12 და 5 საათზე ნიკოლოზ რომანოვი და მისი ცოლი სარკმლეს უნდა მიადგენ, რომ მცველებს დაენახონ. სეირნობის დროს გარეშეთაგან არავის შეუძლია მათი დანახვა.

— **რა მოელის ნიკოლოზ რომანოვს.** 24 მაის მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს მუშათა სექციამ განიხილა ნიკოლოზ რომანოვის და მისი ოჯახის მდგომარეობის შეცვლის შესახებ. თავმჯდომარე ანისიმოვმა წინადადება შეიტანა, რომ არ ელოდნათ ეს საკითხი, რომლის გადაწყვეტა უნდა მიენდოთ ისეთ უფრო ავტორიტეტულ მუშათა და ჯარისკაცთა სრულიად რუსეთის ყრილობისთვის, რომელიც მოწვეულ იქნება ორი კვირის შემდეგ. შემოაქვთ რამდენიმე წინადადება. პირველი—გადადის საკითხის გადაწყვეტა სრულიად რუსეთის ყრილობის მოწვევამდე, მეორე წინადადება—დაუყოვნებლივ გადაიყვანონ ნიკოლოზ რომანოვი პეტრე-პავლეს ციხეში. მესამე წინადადება—დაუყოვნებლივ გადაიყვანონ ნიკოლოზ რომანოვი მთელი ოჯახით კრონშტადში. და ბოლოს მეოთხე წინადადება—დაუყოვნებლივ გადაიყვანილ იქნას ნიკოლოზ რომანოვი და მისი ოჯახი ოქროს მაღნებში, ციმბირში. ყველა ამ წინადადების შემოტანის დროს საერთო სიცილი იყო.

ს.-რევოლიუციონერების წარმომადგენელმა თავისა და ყველა სახალხო ფრაქციების სახელით განაცხადა, რომ რადგან არა სერიოზული კრებაა და ასეთ მნიშვნელოვან საკითხს ხუმრობით ეკიდებიან, პარტია კენჭის ყრაში მონაწილეობას არ იღებს, ასევე იქცევიან მენშევიკებიც. ღებულობენ წინადადებას, რომ ნიკოლოზ რომანოვი თავის ოჯახით დაუყოვნებლივ გადაყვანილ იქნას კრონშტადის ციხეში. კენჭის ყრის შედეგს ბოლშევიკები დიდის ოვაციებით და ტაშის-ცემით შეხვდენ.

— **მაკლაკოვი საფრანგეთის ელჩათ.** მაკლაკოვს ამას წინათ წინადადება მისცეს ეკისრა რუსეთის ელჩობა პარიზში. ის ხალხის თავისუფლების პარტიის ცენტრალურ კომიტეტს შეეკითხა: შეუძლია თუ არა მას მიიღოს ეს თანამდებობა. კომიტეტმა დასტური დასცა. ამის შემდეგ მაკლაკოვმა შეატყობინა ტერეშჩენკოს, რომ თანახმაა. ოფიციალურათ ამ დღეებში დანიშნავენ.

— **მარიამ რომანოვი.** იუსტიციის მინისტრმა პერევერზევმა დეპეშა მიიღო დიდი მთავარის ანდრია ვლადიმერის ძისაგან:

„თვენახევარი იქნება, რა[illegible] ჩემი მარიამი სახლში დატუსაღებულია, რაც ძლიერ ცუდათ მოქმედობს მის ჯანმრთელობაზე. დღემდე მისთვის არავითარი ბრალდება არ წამოუყენებიათ, ამიტომ გთხოვთ თუ რამე დანაშაულობა არის ჩქარა დანიშნოთ გამოძიება ან გაანთავისუფლოთ. როგორც მე ისე დედაჩემი გთხოვთ ბ. მინისტრო მოახდინოთ ისეთი გამოძიება, რომ საშუალება გვექნეს თავი ვიმართლოთ იმ საზიზღარი ცილისწამებისაგან, რომლებიც გაზეთებს ზოგიერთ წერილებში იყო და ჩემს დედას სამშობლოს ღალატს აბრალებდენ.

მინისტრმა აცნობა, რომ მარიამ პავლოვნას განთავისუფლების წინააღმდეგი არაფერი მაქვს, მხოლოდ ხელწერილს ჩამოვართმევენ, რომ ქალაქიდან არ გავიდეს.

— **ბეილისის საქმის გადასინჯვა.** პეტროგრადის საგანგებო საგამომძიებლო კომისიის წინადადებით, საგანგებო საქმეთა გამომძიებელი ნოვოსელოვი შეუდგა ბეილისის საქმის გამოძიებას. ჩვენებას ჩამოართმევენ სასამართლოს მაშინდელ თავმჯდომარეს ბოლდირევს, ბეილისის დამცველს, ეხლა კიევის სასამართლო პალატის უფროს თავმჯდომარე გრიგოროვიჩ ბარსკის, საგანგებო საქმეთა გამომძიებელს ფენენკოს, რომელმაც შჩეგლოვიტოვის სურვილის წინააღმდეგ რიტუალური სიკვდილი ვერ აღმოაჩინა, მაძებარ პოლიციის უფროსს კრასოვსკის, ყოფილ ვიცე გუბერნატორ კაშჭარიოვს და სხვებს.

— **ხრუსტალიოვ ნოსარი დიქტატორი.** ხრუსტალიოვ ნოსარი პირველი თავმჯდომარე იყო მუშათა დეპუტატების საბჭოსი. ეხლა ის დანიშნეს ქ. პერეიასლავის კომისრათ. ამ ბოლო დროს ხრუსტალიოვ-ნოსარმა პირდაპირ დიქტატორობა დაიწყო, გადააყენა საერობო გამგეობა და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებათა თანამდებობის პირთ უმიზეზოთ ატუსაღებდა, ვინც რაიმე უკმაყოფილებას გამოსთქვამდა მის წინააღმდეგ. ბოლოს როცა ყველაფერი ეს აცნობეს პეტროგრადში და საქმის გამოსაძიებლათ დელეგატები გამოგზავნეს, ხრუსტალიოვ ნოსარმა ქალაქში სამხედრო წესები გამოაცხადა, რომ უკანასკნელათ ჯინი ეყარა პერეიასლაველებზე. კიევის სამხედრო დეპუტატების კომიტეტმა დელეგატები გაგზავნა პერეიასლავში ხრუსტალიოვ ნოსარის დასაჭერათ.

რეზოლიუცია ეროვნულ საკითხის შესახებ.

გლეხთა და მუშათა დელეგატთა ყრილობამ 30 მაისს, კამათის შემდეგ მიიღო ამხ. ნ. ჟორდანიას შემდეგი რეზოლიუცია: „მუშათა და გლეხთა ინტერესები მოითხოვენ ისეთს უფლებრივ ნორმებს, რომლითაც უზრუნველყოფილნი იქნება მათი თავისუფალი კულტურული განვითარება. ეს ნორმები უნდა დამყარდეს ხალხის სრულ უფლებიან მართვაგამგეობის მკვიდრ საფუძველზე, როგორც პოლიტიკურ ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სახელმწიფოს ამ გვარი დემოკრატიზაცია, მთელი რუსეთის დემოკრატიის ძირითად მოთხოვნას შეადგენს, რომელმაც რუსეთის ისტორიაში პირველად შექმნა პოლიტიკური შესაძლებლობა ეროვნულ კითხვის გადაჭრისა საერთო სახელმწიფოებრივს ფარგლებში. ასეთ საერთო პოლიტიკურ წესყობილებაში ეროვნულ კულტურის განვითარება შეიძლება უზრუნველყოფილიყოს იმ პირობით, უკეთუ რუსეთში მცხოვრებთ ყველა ერებს საშუალება მიეცემათ, საერთო სრული თვითმართველობის შექმნისა. ასეთ თვითმართველობებს მიეცემათ უფლება შექმნან ადგილობრივი ორგანოები, რომლებიც შეასრულებენ იმ საზოგადოებრივ უფლებრივ ფუნქციებს, რომლებსაც დაავალებს მათ სახელმწიფო განსაზღვრულ სახელმწიფოებრივ მართველობის მიზნების განხორციელებას, მაგრამ თვითმართველ ერთეულებს აქვთ თავის განსაკუთრებული კულტურულ-ეკონომიური და უფლებრივი ინტერესები და ამ სფეროში ის მოქმედებს, ადგილობრივი ორგანოების საშვალებებით, სრულიად დამოკიდებლად.

მაგრამ არა თავისი საკუთარი სახელმწიფოებრივი უფლების მიხედვით, როგორც ეს არის სახელმწიფოში, არამედ ამ სახელმწიფოს დავალებით. სახელმწიფოს უფლება აქვს ზედამხედველობისა, რომ თვითმართველობა არ გადასცდეს კომპეტენციების იმ ფარგლებს, რომლებიც მას აქვს მინიჭებული.

იმ ოლქებში, სადაც სხვადასხვა ერები შერეულათ მოსახლეობენ და ამიტომ მათ არ შეუძლიათ ეროვნულ ტერიტორიალური თვითმართველობის ერთეულების მოწყობა—იქმნება ტერიტორიალური თვითმართველობები საერთო საქმეებისათვის და ეროვნულ-კულტურული საქმეების მოსაწყობად თვითეულ ერისათვის.

ასეთ ტერიტორია-კულტურულ პრინციპზე დამყარებული ეროვნული თვითმართველობა ნაციონალურ ბრძოლას მინიმუმამდის დაიყვანს.

პატარა შენიშვნა.

რუსეთის დროებითი მთავრობას პასუხი გასცეს ინგლისის და საფრანგეთის მთავრობებმა. ეს უკანასკნელნი, ისე არ სწყვეტენ საკითხს ომისა და ზავის შესახებ, როგორც ამას რუსეთის მთავრობა აყენებს.

„სახალხო ფურცელმა“ 30 მაისის ნომერში ასე განუმარტა თავის მკითხველებს ხსენებუ[illegible]ს პასუხი (ინგლისის და საფრანგეთის) ისეთია, რომ ოდნავად ვერ შეუწყობს ხელს ზავის მოახლოვებას. ინგლისის და საფრანგეთის პასუხის შემდეგ ომის და ზავის საკითხის სიქმე ისევ გადაუჭრელი რჩება. რაკი მოკავშირეებმა არ მიიღეს რუსეთის წინადადება, ეხლა **ისღა დარჩენიათ რუსეთის რევოლიუციონერებს—ან შეკრან სეპარატიული ზავი და შესწყვიტონ ყოველივე კავშირი** ინგლისს საფრანგეთთან, ან მხნედ გვერდში ამოუდგენ მოკავშირეებს **და განაგრძონ ომი გერმანიის სრულ დამარცხებამდე.** ეს უკანასკნელი, უეჭველია, დიდს განსაცდელში ჩააგდებს რევოლიუციას; ეს იმას ნიშნავს, რომ **ომი გაგრძელდება კიდევ რამდენიმე წელს** (კურსივი ყველგან ჩვენია) და უქადის მთელს ქვეყანას გაღატაკებას და კულტურულ დაქვეითებას. ვნახოთ რას იტყვის დროებითი მთავრობა ინგლისის და საფრანგეთის საპასუხოთ“.

რასაც იტყვის დროებითი მთავრობა, ამას, რა თქმა უნდა, ვნახავთ, მაგრამ რაც სთქვა „სახალხო ფურცელმა“—ვერაფერი სახეიროა.

როგორ მოგწონთ ასეთი დებულება: რაკი არ მიიღეს რუსეთის წინადადება, ისღა დარჩენიათ ან შეკრან სეპარატიული ზავი და სხ. ნუ თუ მეტ გზას ვერ ხედავს „ს. ხალხო“? რატომ ვერ ხედავს ის მეომარ სახელმწიფოთა დემოკრატიის ენერგიულ მუშაობას ზავის მოსაახლოვებლათ, რომელსაც მეთაურობს პეტროგრადის მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭო? ცხვირ წინ მომხდარ ამბავს გაზეთი ვერ ტყობილობს, სამაგიეროთ, წინასწარმეტყველობს, როცა ამბობს: „ეს იმას ნიშნავს, რომ ომი გაგრძელდება კიდევ რამდენიმე წელს“. აი, ნამდვილი „ობიექტიური“ მსჯელობის ნიმუში. ასე აუხსნა თავის მკითხველ „სოციალისტ“—ფედერალისტებს „სარევოლიუციო“ პარტიის ორგანომ ომის და ზავის საკითხი.

კ. ფოცხვერაშვილის კონცერტი.

21 მაისს კ. ფოცხვერაშვილმა სახელმწიფო თეატრში გამართა დიდი ეთნოგრაფიული საღამო-კონცერტი. საღამო დაიწყო მხატვრულათ დადგმულ სურათით, რომელმაც დამსწრე საზოგადოებაზე შესაფერი შთაბეჭდილება მოახდინა.

შემდეგ კ. ფოცხვერაშვილი ამბობს სიტყვას რუსულად ეროვნულ დევნაზე და აქედან გამოწვეულ კულტურულ ჩაგვრაზე. სიტყვის ეს ნაწილი საზოგადოებამ კონცერტის დისსონანსათ ჩასთვალა: აგიტაცია არ გვინდაო, ისმოდა, როგორც სიტყვის დროს, ისე დასვენებისას. დაბოლოს, სიტყვის მეორე ნაწილში, იგი მუსიკის, სიმღერის განვითარებას შეეხო, მარა ჩვენის აზრით ამ სპეციალურ მასალას დასაბუთება უნდოდა და კარგს ინებებს ბ. ფოცხვერაშვილი თუ თავის დებულებებს რითმის, მელოდიის და სიმფონიის შესახებ პიანინოზე ან სხვა რომელიმე დასაკრავზე დემონსტრაციით უჩვენებდეს აუდიტორიას.

მ. კავსაძის ხორო და კახური სიმღერები თფილისელთათვის ხომ ცნობილია, მარა მსმენელნი აღტაცებაში მოიყვანა გუნდის მიერ მწყობრათ და ტკბილათ შესრულებულმა კახურმა მელოდიებმა.

მომღერალ გურულების გამოსვლას კ. ფოცხვერაშვილმა მოკლე სიტყვა წაუმძღვარა და სთქვა, რომ ვგრძნობ—ბევრს გურული სიმღერა არ მოეწონება, მარა ეს სმენის განუვითარებლობის ბრალიაო.

ეს აზრი არ გამართლდა: გურულების სიმღერა და ჩონგურ ღიღინი დიდათ მოეწონა საზოგადოებას და მსმენელთაგან ყვავილების კალათიც მიართვეს. ხალხი ნასიამოვნები დაიშალა ღამის 12 საათზე.

მასწავლებელთა სიეზდი.

კავკასიის მასწავლებელთა სადელეგატო სიეზდი დამთავრდა. სიეზდმა 12 დღე გასტანა. პირველი სხდომები სიეზდმა მიმდინარე პოლიტიკური მომენტის განხილვას მოანდომა, რის შესახებ მიღებული რეზოლიუცია იმედს გამოსთქვამს, რომ ამის შემდეგ მთავრობის მოქმედება შეთანხმებული იქნება მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს მუშაობასთან. ომის შესახებ სიეზდი სულითა და გულით მიესალმა პეტროგრადის მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს მიმართვას მთელი ქვეყნის ხალხთადმი. სიეზდის აზრით ომი უნდა გაგრძელდეს იმ დრომდე, სანამ რუსეთის დემოკრატიას საშუალება არ ექნება სხვა ქვეყნების დემოკრატებთან ერთად შეკრას უკონტრიბუციო და უანექსიო ზავი, რომელსაც საფუძლათ დაედება ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპი.

დანარჩენი სხდომები სიეზდმა სასკოლო საკითხების გარჩევას მოახმარა. განხილულ იქნა შემდეგი წინადადებანი: სკოლის ნაციონალიზაცია; რეორგანიზაცია დაბალი და მაღალი პირველ დაწყებითი და საშუალო სკოლათა, სამოსწავლო ოლქის გამგეობის რეორგანიზაცია საზოგადოებრივობის პრინციპის მიხედვით; კერძო სკოლის ორგანიზაცია; სასკოლო ჰასაკამდე და სკოლის გარეშე საკითხები; დაბოლოს სიეზდმა მიიღო ზოგიერთი შესწორებით კავკასიის მასწავლებელთა კავშირის წესდება. კავშირი მოქმედობს 26 მაისიდან და მოუწოდებს შეუერთდენ მას პროვინციალური კავშირები. სიეზდმა დაადგინა აგრეთვე შეუერთდეს მთელი რუსეთის მასწავლებელთა კავშირს. სიეზდმა აუცილებლათ სცნო სასწავლებელთა ადმინისტრაციის და პედაგოგიური შემადგენლობის ხელახალი არჩ რომელსაც მოაწყობს ადგილობრივი თვ მართველობათა მიერ შედგენილი სასკო კომიტეტები, ან და ეს უნდა მოახდინოს ოლქო სასწავლო საბჭომ. საბჭო არჩეული ნება.

დაბოლოს სიეზდმა შეადგინა ბიურო. როში აირჩიეს; თავმჯდომარეთ ი. დ. მე შახნაზაროვი, თავმჯდომარის ამხანაგათ კ ნიევი, მდივნათ გ. დ. საპოჟნიკოვის და ნ. ნ. ბერეზოვსკი. წევრებათ: ლ. ა კოვი, ნ. ა. ილინსკი, ნ. ა. დუბროვსკი, მდივანი, დ. დ. პარკაძე, ო. ა. შირაკიანი, ნკუნოვი და კარლინსკი. ბიურო მოთავ ლია თფილისის საქალებო გიმნაზიის შ ში. ბიურო სთხოვს კავკასიის მასწ ლთა ორგანიზაციებს, რომელთაც სურ შირში შესვლა, ეხლავე აცნობონ მას.

კავკასიის მუშათა და გლ დელეგატების სიეზდ

მეათე დღე, 30 მაისი).

(დასასრული, იხ. „ერთობა“ № 6

საღამოს სხდომას თავმჯდომარეობ ვი. გრძელდება კამათი ნაციონალურ ხის შესახებ.

მაჟავარიანი იგონებს იმ დროს, როცა მთელი საქართველო მოცული იყო ნაციონალისტურ იდეებით, პირველ მაისს ინტერნაციონალურ დღესასწაულის მაგივრათ თამარის დღეს უქმობდენ და სხ. მაგრამ მოვიდა ს.-დემოკრატიულ პარტიის ლიდერი ნოე ჟორდანია და ჩადგა სათავეში დემოკრატიის, შეებრძოლა ძველ კერპებს და ხალხი კულტურულ განვითარების გზაზე დააყენა. გაბატონებული კლასები, თავად-აზნაურობა და სამღვდელოება გადაგვარდა, ჩვენ დიდათ ვართ დაინტერესებული მშობლიურ კულტურაში. ჩვენ ყოველთვის დიდ ყურადღებას ვაქცევდით ნაციონალურ საკითხს, მოიგონეთ ნოე ჟორდანიას, ვლ. დარჩიაშვილის, აკ. ჩხენკელის ნაწერები. დღეს დადგა დრო ფართოდ წამოვაყენოთ ნაციონალური საკითხი, ჩვენ ამ საკითხშიაც გავყვებით ჩვენს ხელმძღვანელებს და ისინი კი შესძლებენ მის გადაჭრას.

გ. ჟუღელი იღაშქრებს ნ. ნუცუბიძის წინააღმდეგ და აღნიშნავს, რომ იყო დრო, როცა ის ჩვენთან ერთად ებრძოდა ფედერალისტებს, მაგრამ შემდეგ მათ მიეხრო და ჰგონია, რომ მთელი ს.-დემოკრატია გაჰყვა მას. ჩვენ არასოდეს არ ვაფუჩეჩებდით ნაციონალურ საკითხს. თუ ისეთმა მომზადებულმა პირმა, როგორიც ნუცუბიძეა, არსებითად ვერაფერი სთქვა მოხსენების წინააღმდეგ, ცხადია სხვა სულ ვერაფერს იტყვის. მან მიგვითითა შავი ზღვის ფლოტზე, უკრაინისა და საქართველოს ჯარზე და სხ. და აი სწორეთ ამას შეაქვს განხეთქილება რევოლიუციაში. მე ვაცხადებ, რომ არ არის არც უკრაინის, არც საქართველოს ჯარი, არის მხოლოდ ერთი მთლიანი რევოლიუციონური ჯარი, მელიც დარაჯათ უდგას რევოლიუციას. მეტ სამსახურს ვუწევთ სამშობლოს, თქვენ; საქართველოს სიამაყეთ ითვლ რია, სადაც ს.-დ. მეტი უმუშავნია გავლენა აქვს. როცა სომხის ბურჟ ლაპარაკობდა ნუცუბიძე, არ უნდა დ ბია ქართველი თავად-აზნაურობაც და ახ გაზრდა ბურჟუაზია. ფედერალისტების ლამ სიტყვებში იმალება ცუდი საქმეები და დღ ვნდილი მათი გამოსვლაც განხეთქილებას ბადებს.

ახრიპენკო ამბობს, რომ ისტორიის მთავარი მამოძრავებელია კლასთა ბრძოლა. ომმა გამოიწვია ნაციონალისტურ იდეის კრიზისი და ომის ლიკვიდაცია მოახდენს ამ იდეის ლიკვიდაციასაც. ქართველი დემოკრატია დიდი ხანია იბრძვის ქართველ ნაციონალისტებს, იგი გრძნობს, რომ შეკავშირებულია მსოფლიო დემოკრატიასთან და ამაშია თავდები საბოლოო გამარჯვებისა.

ახლანაძე. მუშა, ქართველია იგი, თუ თათარი—ერთნაირათ იტანჯება ლიფება ბურჟუაზიისაგან. მე ვიცი როცა დაშნაკცაკანი ყარაულობდა პატრონს, მუშებმა რამე არ დაუშავონო. ასეთია მათი ნაციონალიზმი და მუშისადმი გულშემატკივრობა. მეუბნებიან, ქართველი ხარ და აქ, აქ განსაზღვრულ ტერიტორიის ფარგლებში უნდა მოკვდე მაინცდამაინცო. არ მინდა აქ ვიყო, მე თავისუფლება მწყურია და შეძლება უნდა მქონდეს, სადაც ხელ-საყრელი იქნება იქ ვიმუშავო.

პ. საყვარელიძე. მე არ შევეხები ნუცუბიძეს, ვინაიდან ნათქვამის წაქცეულს არ სცემენო. ნუცუბიძის გამოსვლა იმდენათ უტაქტო იყო, რომ ფედერალისტებისათვის უკეთესი იქნებოდა არავინ წამოეყენებიათ. ის მოგვიწოდებს შეერთებისაკენ, მაგრამ ასეთი ენით არ ლაპარაკობს ის, ვისაც ნამდვილათ უნდა შეერთება. ჩვენის აზრით ჯერ რევოლიუცია უნდა დასრულდეს გამარჯვებით და შემდეგ მიიღებენ თავისუფლებას ერები. ჩვენ ს.-დემოკრატები ყოველთვის გამოვდიოდით ერ თვითგამორკვევის უფლებიდან, ვიცავთ და გრულ ერებს, ვინაიდან წინააღმდეგნი ვ საზოგადოთ ჩაგვრის, ვიცავთ მუშას და შასადამე, ერსაც, ვინაიდან ერის უმრავლესობას შეადგენს მუშა ხალხი და ბოლოს, ვიცავთ ერს იმიტომ, რომ თავისუფალ ერში უფრო კა რგათ იწარმოებს კლასთა ბრძოლა. ერს აქვს კულტურა, რომლის მემკვიდრე მუშათა კლასია და რომლითაც იგი მიიკაფავს გზას სა

მიზნისაკენ. ჩვენ ვცდილობთ ამ კულტურას, ვინაიდან სხვაგზა არ არსებობს და ამისთვის საჭიროთ მიგვაჩნია ეროვნული საკითხის გადაჭრა. ეს შესაძლებელია რუსეთისაგან გამოყოფით, მაგრამ ჩვენ ამ გზას ვებრძვით, ვინაიდან დღეს პატარა ერებს არ შეუძლიათ დამოუკიდებლათ ცხოვრება, მეზობელი დიდი სახელმწიფოები ჩაყლაპავდა მათ. არის მეორე გზა—ეროვნულ ტერიტორიალური თვითმართველობა, რომელსაც ჩვენ ვღებთ და ამ ზომით მე ვურჩევ მომხსენებლის პროექტს, [illegible] საჭიროთ მიმაჩნია მასში ცოტა კორექტივის შეტანა. ორატორს ერთი კორექტივი შეაქვს თვითმართველობის კომპეტენციაში და ამბობს, რომ ნაწილი სისხლის სამართლის, სამოქალაქო და სოციალურ კანონმდებლობისა უნდა დარჩეს ადგილობრივ თვითმართველობის ხელში. რუსეთის ცენტრის [illegible] დადგენილების ცალკე ნაწილთა [illegible] ფუნქციას ჩვენ უნდა გვქონდეს. [illegible] თვითმართველობას სახელმწიფოებრივი ხასიათი მისცემ, მაგრამ კულტურულ სფეროში ხომ მაინც სახელმწიფოებრივი [illegible] რჩება. ეს იქნება ეროვნულ ტერიტორიული თვითმართველობა.

ცენტრის ხელში რჩება საგარეო საქმე, ომი, [illegible], სისხლის სამართლისა და სამოქალაქო კანონმდებლობის ნაწილი და აგრარულ საკითხის ზოგადათ გადაჭრა, თვითმართველობას კი გადაეცემა სწავლა განათლებისა, ადმინისტრაციისა, კოლონიზაციისა და სხ. საქმეები.

კავკასიის ერები არ წარმოადგენს საჭიროებას, ვინაიდან მის გასარჩევათ არ რჩება კითხვა. მარტო საერთო გზებისა და არხებისათვის ხომ არ [illegible] მა! ცენტრისა და თვითმართველობათა შორის უნდა იყოს პირდაპირი დამოკიდებულება, ხოლო ადგილობრივი თვითმართველობები უნდა შეიკრიბონ ხანდახან ერთად. ჩვენ ვებრძვით დემოკრატიულ დეცენტრალისტურ რესპუბლიკას და ეროვნულ თვითმართველობას, ფედერალისტები კი—ფედერატიულ რესპუბლიკას.

გარითანიანი. ნათქვამია, ყველა გზებს რომში მივყავართ, მაგრამ ვფიქრობ, რომ ფედერალისტების მიერ ნაჩვენებ გზას მივყავს ნოს რომში. ესინი არამც თუ სოციალისტები, დემოკრატებიც არ არიან. მოიგონეთ მათი გამოსვლა საერობო თათბირზე, სადაც თავგამოდებით იცავდენ 90 წლის ერობას. დღეს ისინი ფედერაციას ითხოულობენ, მაგრამ ფედერაციის ყველა პროექტი რეაქციონურია...

ტერ-გაბრიელიანი აღნიშნავს თუ რას სწერდა ფედერალისტების პრესა, როგორ ძლივ[illegible] ნაციონალურ შუღლს და რა შრომა იყო საჭირო, რომ დაერწმუნებინათ მუშები იმაში, რომ ეს არ არის მთელი ქართველი ხალხის საქმე. ორატორი წინააღმდეგია კულტურულ ავტონომიის და მოითხოვს ფართო ადგილობრივ თვითმართველობას და სახელმწიფო ენის გაუქმებას..

საპასუხო სიტყვაში ნოე ჟორდანია სრულიად უყურადღებოთ სტოვებს ნეცუბიძის სიტყვას, ვინაიდან მის შესახებ ისედაც ბევრი ილაპარაკეს და ეხება უმთავრესად პ. საყვარელიძის მიერ წამოყენებულ დებულებებს.—მე უკვე აღვნიშნე—ამბობს ნოე—რომ სამი კლასი: ბურჟუაზია, არისტოკრატია და პროლეტარიატი თხოულობს თვითმართველობას, მაგრამ სხვადასხვა შინაარსით. თვითმართველობის კომპეტენცია არის სწორეთ საგანი ჩემსა და საყვარელიძეს შორისაც. საყვარელიძე ფედერალისტებზე შორს წავიდა. ის ნიუკანასკნელ კონფერენციის დადგენილების თანახმათ ცენტრს აკუთვნებენ სისხლის სამართლისა და სამოქალაქო კანონმდებლობას, ხოლო საყვარელიძე კიდევ მეტს თხოულობს თვითმართველობისათვის... ეკონომიური განვითარება ცენტრალიზმისაკენ მიისწრაფის და ზემოთ ხსენებულ კანონმდებლობათ ცალკე ნაწილებისათვის გადაცემა, ეწინააღმდეგება ცხოვრებას. თვით ფედერატიულ სახელმწიფოშიაც სისხლის სამართალი ერთია. შვეიცარიის კანტონები თანდათან მიილტვიან ცენტრისაკენ, მას უთმობენ კანონმდებლობის სფეროში ნაწილს საკუთარ უფლებისას. ვთქვათ მივიღეთ საყვარელიძის პროექტი, სისხლის სამართლის ნაწილი ჩვენ გამოვეცით და ჩვენში უფრო მსუბუქად იქჯებიან დამნაშავენი, ვინემ რუსეთში. მაშინ ყველა ასეთი დამნაშავე ხომ ჩვენ შემოგვაფარებს თავს!.. ავიღოთ საექსიზო უფლება, თუ პროცენტი, მაგ. სხვა და სხვა ნაწილებში სხვა და სხვა იქნა, ყველა იქ წაიღებს ფულს, სადაც მეტი პროცენტი იქნება დაკანონებული. ეს კი დაარღვევს ეკონომიურ ცხოვრების მთლიანობას და მაკვირს, რომ მარქსისტი უშვებს ასეთ წინააღმდეგობას. საყვარელიძე ამბობს, ჩვენ უნდა გვქონდეს სუვერენული უფლებაო. მაშინ განსაზღვრულ ტერიტორიაზე მოყოლილ უცხო ერთა ჩაგვრა და ნაციონალური შუღლი არ მოისპობა, მოისპობა იგი ჩვენსა და რუსეთს შორის, ხოლო აქ ისევ დარჩება. მიწის საკითხში უნდა მოხდეს დეცენტრალიზაცია, ეს ჩვენ გუშინ მივიღეთ, იგი უნდა მოაწესრიგოს ადგილობრივ ორგანოებმა. ვთქვათ დამფუძნებელი კრება არ დაგვეთანხმა, მაშინ უნდა დავემორჩილოთ მის გადაწყვეტილებას, ძალით ხომ არ შეუძლია ორ მილიონ ხალხს დაიცვას თავის დადგენილება. მე არ ვეთანხმები არც ტერ-გაბრიელიანის (ბოლშ.) მოთხოვნას, იგი არ ეხება კავკასიას, მაშინაც შესაძლებელია ერთი ერის გაბატონება. მე წარმოგიდგინეთ აქ საერთო დებულებები, დაწვრილებით პროექტს პარტიულ სიეზდზე წამოვაყენებ.

ბოლშევიკებმა წარმოადგინეს თავის რეზოლუცია. თითქმის ერთხმათ (7 წინააღმდეგ) სიეზდმა მიიღო ნოე ჟორდანიას რეზოლუცია, რომელიც ამ ნომერშივე იბეჭდება. ბოლშევიკების რეზოლუციამ მიიღო მხოლოდ 7 ხმა.

ვ. ალათიშვილი.

კრებამ კათოლიკოზის[illegible] სამღვდელოების შესახებ და ეკლესიის შესახებ და მიიღო შემდეგი დადგენილება: სამაზრო საბჭო პრინციპიალურათ ადგენს ეკლესიის სახელმწიფოსაგან განცალკევებას, რომელსაც დაადასტურებს დამფუძნებელი კრება, მხოლოდ მანამდის კი საეროთ ლოცვებს და ამ დადგენილებასაც ცხოვრებაში მოიყვანს გლეხთა საბჭოები შემდეგნაირათ: 1) მოსპობილ იქნას დრამა ფული, 2) დამარხვისა და ნათლის ხარჯი, 3) ჯვრისწერისათვის იხდიან 3 მან. აგრეთვე გაწეულ იქნას აგიტაცია ქალების და სხვა მავნე ჩვეულების წინააღმდეგ.

მილიციის შესახებ კრებამ წინადადება მისცა აღმასრულებელ ორგანოს ზოგიერთი მილიციონერის დათხოვნის შესახებ.

ქისტებ-ოსებსა, თუშ-ფშავ ხევსურთა შუღლის გამო, კრებამ გამოსთქვა აზრი: მიღებულ იქნას კულტურული ზომები, რომ განხეთქილებას ბოლო მოეღოს. ამავე დროს კრებამ დაადგინა, ამ ზაფხულისთვის შეუდგენ თავდაცვას.

ლოთობის და ყაჩაღობის წინააღმდეგ მიღებული იქნას ენერგიული ზომები; აიკრძალოს არყის ხდა და ხმარება. მხოლოდ ამისათვის კრება საჭიროდ სცნობს პროპაგანდა-აგიტაციას და ხალხის თვით-მოქმედებას.

ფოსტა-ტელეგრაფის, საექიმო საქმეებისათვის კრება ავალებს აღმ. კომიტეტს—აცნობოს მდგომარეობა საგუბერნიო კომიტეტს და შეუდგეს მაზრაში საქმის მოწესრიგებას.

საბჭომ გაარჩია კიდევ რამდენიმე საკითხება.

აღმასრულებელ ორგანოში შედიან: ექიმი ალექ. ხითარიშვილი, აგრ. ნიკოლოზ ქუმსიაშვილი, იოსებ ბოძაშვილი, ნიკოლოზ ნადიბაიძე, სანდრო შუშანაშვილი, სიმონ წიკლაური და დავ. ჯანაშვილი.

სამაზრო კომისარიატში: გიორგი მენთეშაშვილი, ნიკოლოზ ქუმსიაშვილი და სანდრო შუშანაშვილი, საქმეების მწარმოებლათ იოსებ ბოძაშვილი. მაზრის მილიციის უფროსათ ნიკოლოზ ნადიბაიძე. სასურსათო საქმეებისთვის აირჩიეს აგრ. გ. რცხილაძე.

თ—ლი მუშა.

სართიჭალის რაიონი. სართიჭალის სარაიონო გლეხთა საბჭოს მორიგი კრება მოხდა 28 მაისს. კრებას დაესწრო ექვსი კაცი. კრებაზე სხვათა შორის დაადგინეს. 1. შეიძინონ საბჭოს კანცელარიული საქმეების საწარმოებლად საჭირო ნივთები. 2. რადგან მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ ბევრი სოფლის საბჭოები ვერ არის კარგათ მოწყობილი, ამიტომ გაიგზავნოს რაიონის პროპაგანდისტი ერთი საბჭოს წევრის თანხლებით და ყველა სოფლები ინახულოს. მოაწყოს მიტინგები, გაავრცელოს დროის შესაფერი ბროშიურები და სხვ. 3. საბჭოს წევრს განსაკუთრებული მოვალეობის ასრულებისთვის ეძლევა მხოლოდ საჭმელის და გზის ფული. 4. საბჭო ითხოვს ყველა სოფლის საბჭოებისაგან წარმომადგინონ პირები გარჩევისა მათი არჩევნების შესახებ, რომ გაიცნოს რამდენათ სრული და კანონიერია მათი არჩევნები. 5. სარაიონო საბჭო სოფლებში კრეფს ცნობებს იმის შესახებ: არის თუ არა სოფლათ საკმარისი მუშა ხელი და რამდენი იქნება საჭირო. 6. გაგზავნოს კაცი სასოფლო საგუბერნიო კომისიაში, რომ გაიგოს რა მდგომარეობაშია ტფილისის მაზრის დანარჩენი რაიონები, რატომ არ იწვევს რაიონის საბჭოების კონფერენციას და არ ირჩევს სამაზრო გლეხთა საბჭოს.

სარაიონო საბჭოს თავმჯდომარე
ვ. კანჯარაშვილი.

ბოდის (მუხაურა) საზოგადოება. (ქუთ. მაზრა). კვირას 21 მაისს მოხდა ადგილობრივი აღმ. კომიტეტის არჩევნები. ხალხი ბლომად დაესწრო. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მასწ. არტემ ერ. ჩაჩუა, მდივ. მ. ს. ჩაჩუა. კრებას ხელმძღვანელობდა სამტრედიის რაიონულ აღმ. კომიტეტის წარმომ. გრიშა ურუშაძე. ჩვიდმეტ კანდიდატში არჩეულ იქნა თორმეტი კაცი: მღ. ივანე თევზაძე, მასწ. არტემ ერ. ჩაჩუა, მასწ. ნიკო გერაძე, ნესტორ ცანავა, გიორგი ჭიქაშუა, კოწია კობრავა, დომენტი ნადირაძე, ფერშ. გიორგი ამაღლობელი, ივ. ფულარიანი, მეთ. ალფაიძე, ლეონტი თევზაძე და თედორე ნიკოლეიშვილი. მათი კანდიდატები: ქვ. ამაღლობელი, მიხ. გვენეტაძე და სულაქველიძე (ყველა ს. დ.) გაგზავნეს ორი კანდიდატი ს. ფ. და ს. რ. კომიტეტის პირველი სხდომა ქონდა ორშაბათს 22 მაისს. აირჩიეს კომისარად აფრასიონ ღირღალაძე. აირჩიეს აგრეთვე სოფლებიდან კომისარის თანაშემწეები.

ერმალოშვილი.

ჭიათურა. 18 მაისს მოხდა მუშათა დეპ. საბჭოს არა ჩვეულებრივი კრება. კრებამ განიხილა შემდეგი საკითხები: 1) დღევანდელი მომენტი; 2) კოალიციონური სამინისტრო; 3) ომი და ზავი; 4) მუშათა კითხვა; 5) აგრარული საკითხი; 6) სურსათის საქმე; 7) ნაციონალური კითხვა; 8) საქალაქო და საერობო კითხვები; 9) სასამართლო და 10) ცენტრალური საბჭოების შეერთება.

მოხსენების წაკითხვის შემდეგ ამხ. ზ. გურულმა და ბოლომ წარმოადგინეს შემდეგი რეზოლუცია, რომელიც ერთხმათ მიიღეს: 1) მომენტის შესახებ: თანამედროვე მდგომარეობიდან გამოსავლად, სასურსათო და [illegible] კრიზისის [illegible] ასაცილებლათ, [illegible] მოპოვებულ თავისუფლების განსამტკიცებლათ და მტკიცე დემოკრატიულ მართველობის დასამყარებლათ, მუშ. დ. საბჭოს აუცილებლათ მიაჩნია ომის დამთავრების დაჩქარება და დამფუძნებელი კრების დაუყონებლივ მოწვევა; 2) კოალიციონურ სამინისტროს შესახებ. სოციალისტების კოალიციურ სამინისტროში შესვლა ბურჟუაზიულ რევოლიუციის დროს არასასურველია და იძულებითი ნაბიჯია; ჩვენ მას მხარს ვუჭერთ იმდენათ, რამდენათაც მისი მოქმედება რევოლიუციას ღრმავებს; 3) ომი და ზავის შესახებ. მუშ. დ. საბჭო სავსებით იზიარებს პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა ცნობილ მოწოდებას საერთაშორისო დემოკრატიის მიმართ; 4) მუშათა კითხვის შესახებ საბჭო მოითხოვს 8 საათის სამუშაო დღის დაუყონებლივ დაკანონებას და შრომის პირობების დაცვის დეკრეტის გამოცემას; 5) მიწის საკითხის შესახებ: საბჭო იმედს გამოსთქვამს, რომ დამფუძნებელი კრება საბოლოოთ გადასწყვეტს მიწის საკითხს. ხოლო მანამდე ანარქიის თავიდან ასაცილებლათ საჭიროა განუმარტონ გლეხებს არ დაიტაცონ მიწები; 6) მ. დ. საბჭო საჭიროთ სთვლის სასურსათო მონოპოლიის გამოცხადებას და ამ საქმის დემოკრატიულათ მოწყობას; 7) ნაციონალური კითხვის შესახებ მუშათა საბჭომ დაადგინა, რომ ამ კითხვის გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებელ კრებაზე, მანამდის კი მისი გადაჭრისათვის ყოველივე ცდა მავნებელია. ამასთანავე საბჭო შესაძლებლათ სცნობს წინასწარ იდეურ მომზადებას დამფუძნებელი კრებისთვის; 8) მუშათა დ. საბჭო მოითხოვს საქალაქო და საერობო მართველობის დემოკრატიზაციას და მის საყოველთაო შემოღებას; 9) საბჭო აუცილებლათ სცნობს სასამართლო უწყების რეორგანიზაციას და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებას; 10) მ. დ. საბჭოს საჭიროთ მიაჩნია გლეხთა, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების სრული შეერთება.

ამით დასრულდა კრება. დასასრულ აირჩიეს ორი დელეგატი გლეხთა და მუშათა დეპუტატების ყრილობაზე დასასწრებლათ მ. დობორჯგინიძე და ი. პეტრიაშვილი, ბენია.

პროვინციის ცხოვრება.

სიღნაღის მაზრა. ამ რამოდენიმე ხნის წინათ სიღნაღის მაზრაში, ლაგოდეხის რაიონში, ნაძირალებმა მძარცველთა ბრბო შეადგინეს და წნორიდან ლაგოდეხისკენ მიმავალ გზა ტკეცილზე მგზავრებს ძარცვა დაუწყეს. გაძარცვეს გლეხებიც, წაართვეს სამეურნეო იარაღი. აღმასრულებელმა კომიტეტმა მათ შესახებ უმოქმედობა გამოიჩინა. სიღნაღის მუშათა საბჭომ თავისი მფრინავი რაზმი გაგზავნა დავით ნოდარიშვილის მეთაურობით. მფრინავმა რაზმმა შეიპყრო 6 კაცი: პეტრე ხარაზიშვილი, ალექსი დოსმიშვილი, იოსებ ნანობაშვილი, სტეპკო ჩიტინაშვილი, ლევან ხარაშვილი და მელანია ბანძარაძე. მათ აღმოაჩნდათ 5 ვინტოვკა, 1 ნაგანი და ორი ბრაუნინგი. დატუსაღებულები სიღნაღის სამაზრო ციხეში არიან მოთავსებულნი. მფრინავ რაზმს მუშათა და სალდათთა საბჭომ დაავალა განაგრძოს თავის მოქმედება ყაჩაღების შესაპყრობათ.

სპარსეთი. აქ არსებობს სამხ. დელეგატთა საბჭო აღმასრულებელი კომიტეტით, რომელიც შედგება 15 კაცისაგან. კომიტეტი კომისარებათ არის დაყოფილი: ფინანსიური, სარევიზიო, გამომძიებელი, განმანათლებელი და სხვა, განმანათლებელი კომისიის ინიციატივით თვეზე მეტია მოეწყო პროპაგანდისტთა კოლეგია. დასახელებული კოლეგია ყოველ კვირაობით აწყობს საერთო კრებას, უკვე მოეწყო შეკავშირებული ბიურო, ამ ბიუროში შედიან სამხედრო ორგანიზაციიდან ოთხი დელეგატი, სომეხ [illegible] ორგანიზაციებიდან ორ-ორი. აქ არსებულ რუსეთელთა კოლონიიდან ორი. აღმასრულებელი (სამხედრო) კომიტეტი თავის კომისიებით და პროპაგანდისტთა კოლეგიით დიდ უნარს იჩენს მასების პოლიტიკურათ აღზრდის საქმეში. [illegible] კრებაზე 23 მაისს გაირჩა კითხვა ადგილობრივ კონსულთან დამოკიდებულების შესახებ. კრებამ დაადგინა კონტროლი გაუწიოს კონსულს ყოველივე ნაბიჯებს, ენერგიული ზომები მიიღოს რევოლიუციონური იდეების გასავრცელებლათ სპარსეთში.

სამხედრო ორგანიზაციების მუშაობას ხელმძღვანელობენ უმეტესად სოც. დემოკრატები და სოც. რევოლიუციონერები.

გახთ.

ტფილისი. კვირას 28 მაისს შესდგა საერთო კრება მხატვარ მლებართა პროფესიონალურ კავშირისა, კრებამ დაამტკიცა წესდება კავშირისა და აირჩია გამგეობა სარევიზიო კომისია. გამგეობის წევრნი: ისაკ ტომაზოვი, ლუკა ტერ-სარქისოვი, აპოლონ ჯაფარიძე, აბრამ მირზა, იოსებ რევაზოვი, ესტატე გვახარია, იოსებ ბაბიანი, რუბენ მურადოვი, არუთინ ნაზარბეგოვი. სარევიზიო კომისიის წევრნი: პეტრე ბოაჯიანი, ნოე გურიევიჩი, გრიგორ ნოურუზოვი. გამგეობის მორიგი კრება მოხდა ორშაბათს 29 მაისს 5 საათზე. გაარჩიეს სხვადასხვა კითხვები და დაადგინეს იქნას კავშირის ბიურო დროებით, რაზმიელი ქუჩა ვორონცოვის ძეგლის ახლოს № 11. ბიურო ღიაა დილის 12—1 საათ. საღამოს 5—7. ახალი წევრების მიღება გრძელდება.

კავშირის გამგეობა.

წერილები რედაქციის მიმართ.

მადლობას ვუცხადებთ იმ პირთ, რომელთაც შემწეობა აღმოგვიჩინეს წიგნთსაცავ-სამკითხველოს დაარსებაში ს. ლესაჯიში.

აგრეთვე მადლობას ვუცხადებთ ანდრია როსტომის ძე საჯაიას, რომელმაც სამკითხველოსათვის უფასოდ დაგვითმო ერთი წლით თავისი სახლი.

ს. ლესაჯის სამკით. დამაარსებელნი:
აგრაფინა საჯაია, პარასკევა და მინადორა ხუხუნი და ძაუ ჩიქოვანი.

ამხ. გიორგი ივანეს ძე ცოცხალაიშვილი, რომელმაც მისს ნაცნობ ამხანაგებ შორის შეაგროვა და გამოგვიგზავნა 81 მ. 35 კაპ. აკეთის უფასო სამკითხველოს სასარგებლოთ, აგრეთვე მადლობას მოვახსენებთ მათაც, ვინც არ დაიშურა თავიანთი წვლილი.

მადლობას ვუცხადებთ ამხანაგ ივლიანე ესეს ძე ჰანტურიშვილს, რომელმაც კეთილი ინება და ჩვენ აკეთის უფასო სამკითხველოს სასარგებლოთ შეაგროვა მისს ნაცნობებ შორის და გამოგვიგზავნა ას ჩვიდმეტი მან. და 40 კ. (117 მ. 40 კ.) დიდი მადლობას ვუცხადებთ მათაც, ვინაც არ დაიშურა და მოგვაწოდა თავიანთი წვლილი.

აკეთის უფასო სამკით. გამგ. წევრი:
ლავრენტი თოხაძე.

ცნობები
ჯარის კაცების შესახებ.

ჯარისკაცი ალექსანდრე გიორგის ძე თოდუშვილი, რომელიც იმყოფებოდა სარიყამიშში, უკვალოდ დაიკარგა. ვთხოვთ თუ ვინმე რამე იცის იმის შესახებ, გვაცნობოს ამ მისამართით: ს. ლელიანი, სიღნაღის მაზრა, დიმიტრი თედეშვილს.

— ჯარისკაცი ლავრენტი ილარიონის ძე ჩინთლაძე მსახურობდა კავკასიის მომქმედ არმიაში, კავკასიის მსროლელ 24 პოლკში, მე-7 როტაში, 1 ვზვოდში. თებერვლის პირველ ნახევარში ავათ გამხდარა და წყურგანიეთ ლაზარეთში. მას აქეთ არავითარი ცნობა არ არის მის შესახებ. ვსთხოვთ, თუ ვინმე რამე იცის მის შესახებ გვაცნობონ ამ მისამართით: Тифлисъ, типографія Рухадзе Габаевск. пер. № 1. Эрасто Чантладзе.

რედ.-გამომცემელი [illegible]

სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში.

ქობულეთი.

[illegible] რეჟიმის დამხობის შემდეგ ცინცაბაძის [illegible] შესდგა სარეგისტრაციო [illegible] რომელსაც უნდა მიეღო და ჩაეწერა [illegible] სოც. დემ. მუშათა პარტიის წევრები. ბიურო ენერგიულად შეუდგა თავის მოქმედებას და რამოდენიმე ხნის განმავლობაში მოიწვია პარტიის დამფუძნებელი კრება. გამოცხადდა 120 პარტიის წევრი. კრებას დაესწრო ბათუმის კომიტეტის მიერ გაგზავნილი ამხანაგი ნოე ნასარია. კრება გახსნა ალექსანდრე ცინცაბაძემ. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხანაგი ა. ჭანტურია, მდივნათ ამხანაგი მელიტონ მალაძე. მოხსენება ბათუმის კომიტეტის სახელით გააკეთა ამხ. ნოე ნასარიამ. შემდეგ ამისა კრებამ აირჩია დროებითი კომიტეტი.

ამავე დღეს არჩეულმა კომიტეტის წევრებმა გამართეს კრება და აირჩიეს პრეზიდიუმი თავმჯდომარეთ ამხ. ცინცაბაძე, თანაშემწეთ ამხ. ჭანტურია, მდივნათ თამარა დოლიძე და ხაზინადრათ იასონ ხუხუნაიშვილი. შემდეგ კომიტეტმა მოაწყო პირველ მაისის დღესასწაული და მუშათა პრესის სასარგებლოთ ყუთებით ფულების შეგროვება, შემდეგ ამისა კომიტეტმა დაყო ქობულეთის რაიონი რამოდენიმე უბნებათ და შეუდგა ძირითადი ორგანიზაციების მოწყობას. დღეს ქობულეთის რაიონში ირიცხება 350 პარტიის წევრი.

ქობულეთელი ბიჭი.

ბოდის საზოგადოება (ქუთ. მაზ.).
ამ საზ. ყველა სოფლებში არსებობს ს. დ. ორგანიზაციები. არჩეულია ათი კაცისაგან შემდგარი კოლექტივი. ს. დ. რაიონულ კომიტეტში არჩეულია ორი კაცი მასწ. არტემ ჩაჩუა და მღვ. ივანე თევზაძე.

ე—ი.

[illegible]ოლიუცია პროვინციაში.

[illegible] რაიონი. ერწოს რაიონი შესდგება 59 სოფლისაგან, სადაც ცხოვრობს 1837 კომლი, რაიონი დაყოფილია [illegible] ნაწილად და შედგა [illegible] გლეხთა საბჭო, რომელშიაც შედიან ყველა სოფლის გლეხთა წარმომადგენლები. სარაიონო საბჭო კი შესდგება 15 წევრისაგან, რომელსაც ყავს თავმჯდომარე, მისი ამხანაგი და მდივანი.

თიანეთის რაიონი. თიანეთის რაიონში შედის 56 სოფელი, აქ ცხოვრობს 1637 კომლი (6344 სული) დაარსდა სამი გლეხთა სარაიონო საზოგადო საბჭო. რაიონული საბჭო შესდგება 17 წევრისაგან.

თუშ. კახეთის რაიონი. (ახმეტა). 67 სოფელი—3995 კომლით. მთელს რაიონში 7 სასოფლო-საზოგადო საბჭო არის. სარაიონო საბჭოში შედის 16 წევრი დროებით [illegible] საბჭოებისაგან დანიშნული ბიუროები [illegible] საქმეებს [illegible].

— 30 აპრილს გამართა მიტინგი თიანეთ[illegible], მიტინგზე ილაპარაკეს: [illegible], [illegible] მუშათა საბჭოს წარმომადგენლები: ნიკო ქუმსიაშვილი, ნ. [illegible], გ. [illegible], ლ. [illegible] და [illegible]. [illegible] რესპუბლიკა, [illegible] საკითხი და სხვა. ამავე მიტინგზე მიიღეს დადგენილება, ეცნობოს დროებით მთავრობას, რომ რაკი მდგომარეობა სერიოზულია—დაჩქარებით იქნას მოწვეული დამფუძნებელი კრება. ასეთივე სახალხო მიტინგები გაიმართა ბოჭორმაში, ნაქალაქარში, ტოლეთ სოფელში, პანკისის ხეობაში, მატანში, ახმეტაში.

— 3 მაისს, სამი დღის შემდეგ დამთავრდა თიანეთის გაერთიანებული სამაზრო გლეხთა საბჭოს კრება.

კრების ოქმები შემდეგია: კრებას დაესწრენ 5 წარმომადგენელი თუშ-კახეთის რაიონულ საბჭოდან, 5 თიანეთიდან, 5 ფშავ-ხევსურეთიდან, 4 ერწოდან. აგრეთვე მიწვეული 3 კრები და ტფილისის მუშათა დეპუტატების რწმუნებულნი. რაკი თიანეთის მაზრა განირჩევა სხვა მაზრისგან, რადგანაც თიანეთში არც ჯარისკაცნი და არც მუშათა საბჭო, ამისათვის გლეხთა სამაზრო საბჭო, გამოცხადებულ იქნ. მაზრის მთავარ ორგანოთ, რომელმაც აირჩია 9 კაცისაგან შემდგარი აღმასრულებელი ბიურო მაზრისათვის.

მიწის საკითხის შესახებ კრებამ მიიღო, საბოლოოთ ეს კითხვა გადაწყდება მომავალ დამფუძნებელ კრებაზე, მანამდის კი [illegible] უნდა განაგებდეს [illegible] კომიტეტები.

Съ 4-го мая въ г. Тифлисѣ выходитъ ежедневная газета на русск. языкѣ

БОРЬБА

Органъ Закавк. Областнаго и Тифлисскаго Комитетовъ Россійской Соц.-демократической Рабочей Партіи.

Подписка какъ городская, такъ и иногородная принимается въ конторѣ „Ганатлеба" (Ольгинская № 6). Деньги для подписки адресовать: Тифлисъ, почт. ящ. 96 Сильвестру Ремановичу Таварткиладзе.

Корреспонденціи и статьи направлять по адресу: Тифлисъ, Головинскій пр. № 12 для редакціи «Борьба».

Подписная цѣна на годъ 15 р., на 6 мѣс. 8 р., 3 м. 4 руб. 20 к., 1 мѣс. 1 р. 40 к.

ქ. ტფილისი, ოლღას ქ. №6, ა.-ამხანაგობის კანტორა და წიგნის მაღაზია

„განათლება"-ში

[illegible] [illegible]

[illegible] „[illegible]", „[illegible]", „[illegible]", „[illegible]", „[illegible]", „[illegible]", „[illegible]", „[illegible]" და [illegible]

[illegible] ТИФЛИСЪ ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 96, СИЛЬВЕСТРУ Р. ТАВАРТКИЛАДЗЕ. ტელეგრამის ადრესი ОЛЬГИНСКАЯ 6. ТАВАРТКИЛАДЗЕ. Телеф. № 3—44.